ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali-Taoba

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 25 იანვარი, 2022

№17 (8795)

ფასი: 60 თეთრი

პატრულმა ყრუ-მუნჯი ახალგაზრდა ისნის მეტროში სასტიკად ცემა

გვ.5

„ასეთი სამარცხვინო მინისტრი არ გვყოლია, ტიკარაძე სანატრელი გახდება“

გვ.3

ვატო სურგულაძე: „გამოდის მინისტრის მოადგილე, ეს გაუგებრობა ქალი და ჩვენ 40 ონლაინკლინიკა გავხსენითო. ვის რად უნდა შენი ონლაინკლინიკა!“

„ონლაინკლინიკებში უსუსტესი, არაფრის გამკეთებელი, უყურადღებო ოჯახის ექიმები არიან. შეიძლება, ორ კვირაში ან ათ დღეში ერთხელ დაურეკონ პაციენტს?!“

„უკრაინას საქართველოს პარლამენტის მხარდაჭერა სჭირდება“

გვ.3

სალომე სამადაშვილი: „ქართული ოცნება“ ათი წელია, ქვეყანას მართავს. ამ ხნის განმავლობაში ნატოში ინტეგრაციის მიმართულებით ნული პროგრესი მივიღეთ“

გვ.2

„მოვითხოვთ, კონსტიტუციაში ჩაიწეროს, რომ საქართველო ნეიტრალური სახელმწიფოა“

მამუკა ტუსკაძე: „რუსეთ-უკრაინას შორის უკიდურესად დაძაბული სიტუაციაა, შეიძლება, დღე-დღეზე ომიც კი დაიწყოს. ეს იქნება ომი ნატოს პოტენციურ წევრსა და რუსეთს შორის“

უკრაინაში რუსეთი ბლიცკრიგს ჩაატარებს?

ამერიკელი მოღვაწე: „რუსეთი უნდა გაირიცხოს ყველა საერთაშორისო ორგანიზაციიდან“

გვ.4

მდინარე იორდანესთან ქართული კულტურის ცენტრის აშენების მიზნით სამთავრობო კომისია იქმნება

გვ.2

ირაკლი ღარიბაშვილი: „სანატორიუმ „ქართლში“ მცხოვრები ოჯახები ახალ საცხოვრებელს წელს უპირობოდ მიიღებენ“

ISSN 1987-9385

2 „50 წლის ასაკის ზემოთ მოქალაქეებს პირველივე ატრაზე 200-ლარიან წამახალისებელ დანამატს ვუხდით“

5 საგარეჯოს პოლიციის შენობიდან ახალგაზრდა კაცმა გადახტომა ცადა

5 ბექა ბასილაია: „7 ნოემბრის დარბევაში სააკაშვილის ჩართულობა გამოგონილია“

6 უკრაინამ აშშ-ის სამხედრო დახმარების ახალი პარტია მიიღო

მდინარე იორდანესთან ქართული კულტურის ცენტრის აშენების მიზნით სამთავრობო კომისია იქმნება

როგორც იცით, საქართველოს გადაეცა 4.000 კვ.მ. მიწა მდინარე იორდანესთან, მაცხოვრის ნათლობის ადგილის მიმდებარედ.

– საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კურთხევით ამ წმინდა მიწაზე ქართული კულტურის ცენტრის აშენებას ვგეგმავთ. სწორედ ამ მიზნით ჩვენ შევქმნით სამთავრობო კომისიას და დავიწყებთ მუშაობას კონცეფციაზე, პროექტზე და შემდეგ უკვე მშენებლობაზე გადავალთ.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

ირაკლი ღარიბაშვილმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ამ პროცესში პატრიარქის როლს.

– მის უწმინდესობასთან ერთად, კიდევ ერთხელ ვუხდი მადლობას იორდანიის მეფე აბდულა მეორეს, პრინც ღაზის, იერუსალიმის პატრიარქ თეოფილუსს, იორდანიის არქიეპისკოპოსსა და ყველას, ვინც ჩართული იყო ამ პროცესში, განსაკუთრებით ჩვენს ელჩს იორდანიაში ზაზა კანდელაკსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს. კომისიის მუშაობაში მონაწილეობა ჩვენ ასევე ვთხოვეთ საპატრიარქოს წარმომადგენლებს, კერძოდ, მეუფე შიოს, მეუფე გერასიმეს, მეუფე დავითს, მეუფე თეოდორესა და დეკანოზ ანდრია ჯაღმაიძეს, – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

ნათია მეზვრიშვილი: „ოცნების“ მაფიოზური მმართველობის დასამარცხებლად ყველაფერს გავაკეთებთ“

– რამდენი წევრიც არ უნდა დააშინონ, ჩვენ გავაგრძელებთ თანმიმდევრული ნაბიჯების გადადგმას იმ ცვლილებებისთვის, რისი მიზანიც არის, რომ „ოცნების“ მაფიოზური მმართველობა დამარცხდეს.

ამის შესახებ პარტია „საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მოადგილე ნათია მეზვრიშვილმა გუშინ, 24 იანვარს, ბრიფინგზე განაცხადა.

მისი თქმით, „ოცნებამ“ ნაციონალური მოძრაობის მსგავსი მეთოდებით განაახლა პარტიის წევრებზე ზეწოლა და მუქარა.

– „ოცნებამ“ განაახლა პარტია „საქართველოსთვის“ წევრების და მხარდამჭერების სისტემური დევნა პოლიტიკური ნიშნით – მათზე ფიზიკური თავდასხმა, მუქარა და ზეწოლა.

როგორც ჩანს, „ოცნება“ ვერ ეგუება, რომ პოლიტიკურ ველზე პარტია „საქართველოსთვის“ გამოჩენით დაიწყო ცვლილებები, რაც პირდაპირ კავშირშია „ოცნების“ ერთპიროვნული მმართველობის დამარცხებასთან, მითუმეტეს ამოწურული პოლიტიკური რესურსის პირობებში.

როგორც ჩანს, აღნიშნულის გააზრებამ „ოცნებაში“ გამოიწვია შიში და მათ, ნაციონალური მოძრაობის მსგავსი მეთოდებით, განაახლა პარტიაზე თავდასხმა, რომელიც ჯერ კიდევ ახალი წლის წინა ღამეს სამეგრელოს რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელ მალხაზ თორიასა და მის არასრულწლოვან შვილზე (ხაზგასმით აღვნიშნავ, არასრულწლოვან შვილზე!) თავდასხმით დაიწყო. 20 დღე გავიდა და 24 საათში გამოსაძიებელ საქმეზე შედეგი არ არის, ეს მაშინ, როცა გამოძიებისთვის ცნობილია თავდამსხმელთა ავტომანქანების საიდენტიფიკაციო მონაცემები, რის შესახებაც ინფორმაცია გამოძიებას ჩვენმა თანაპარტიელმა მიაწოდა, – განაცხადა ნათია მეზვრიშვილმა.

მისი თქმით, ეს ყველაფერი პარტიას ვერ გააჩერებს.

– ჩვენ გავაგრძელებთ თანმიმდევრული ნაბიჯების გადადგმას იმ ცვლილებებისთვის, რომელთა მიზანიც არის, რომ „ოცნების“ მაფიოზური მმართველობა დამარცხდეს, ამიტომ, რამდენი წევრიც არ უნდა დააშინონ, ჩვენ ამ პროცესებს თანმიმდევრობით გავაგრძელებთ, – დასძინა ნათია მეზვრიშვილმა.

4 მინისტრს კორონა აქვს

2 მათგანი ორჯერ არის აცრილი, ერთს კი ბუსტერიც აქვს გაკეთებული

საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 4 წევრს კორონავირუსი დაუდასტურდა. შესაბამისად, ინფიცირების გამო მთავრობის გუშინდელ, 24 იანვრის, სხდომას მინისტრების მხოლოდ ნაწილი ესწრებოდა.

უფრო კონკრეტულად, როგორც „ინტერპრესნიუსს“ მთავრობის ადმინისტრაციაში განუცხადეს, კორონავირუსი აქვთ განათლებისა და მეცნიერების მინისტრ მიხეილ ჩხენკელს, ინფრასტრუქტურის მინისტრ ირაკლი ქარსელაძეს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრ ლევან დავითაშვილსა და თავდაცვის მინისტრ ჯუანშერ ბურჭულაძეს. ისინი მკურნალობის კურსს სახლში გადიან და მუშაობას დისტანციურ ფორმატში აგრძელებენ. მიხეილ ჩხენკელი არის ორჯერადად ვაქცინირებული, თავს კარგად გრძნობს და მუშაობას დისტანციურ ფორმატში, სახლიდან აგრძელებს.

ორჯერადად ვაქცინირებულია და მსუბუქად მიმდინარე კორონავირუსს სახლში მკურნალობს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილიც.

მინისტრ ირაკლი ქარსელაძეს, ორჯერად ვაქცინასთან ერთად, ბუსტერდოზაც აქვს გაკეთებული და კორონავირუსი მის შემთხვევაშიც მსუბუქად მიმდინარეა. სახლში მკურნალობს და თავს კარგად გრძნობს თავდაცვის მინისტრი ჯუანშერ ბურჭულაძეც.

„50 წლის ასაკის ზემოთ მოქალაქეებს პირველივე აცრაზე 200-ლარიან წამახალისებელ დანამატს ვუხდით“

მთავრობის მეთაურის თქმით, მიმდინარე კვირაში მზარდია კოვიდით ინფიცირების ახალი შემთხვევების რაოდენობა. ქვეყნის შესაბამისი სექტორები მზადყოფნაშია, ინტენსიურად მიმდინარეობს ეპიდპარამეტრების მონიტორინგი და მათი უწყვეტი ანალიზი.

– მოსახლეობას კიდევ ერთხელ მოვუწოდო, ჩაერთონ ვაქცინაციის პროცესში. მე და ბატონმა ზურაბ აზარაშვილმა ვისაუბრეთ და ჩვენი სურვილია, გაფართოვდეს ვაქცინაცია. ზოგადად, რეგიონებსა და სოფლებში გვინდა უფრო აქტიურად და ინტენსიურად დავიწყოთ ვაქცინაცია.

მოსახლეობას შევახსენებ, რომ პირველივე ჯერზე, 50 წლის ასაკის ზემოთ ჩვენ 200-ლარიან წამახალისებელ დანამატს ვუხდით მოქალაქეებს. გვინდა, ეს პროცესი უფრო გავაფართოოთ და სოფლებში ჩავიტანოთ ვაქცინები. იმის მიუხედავად, რომ ვუსმენთ რა ექიმებს და მეცნიერებს, ომიკრონი საკმაოდ სუსტად მიმდინარეობს, მაინც საფრთხე მაღალია, განსაკუთრებით მათთვის, ვინც ასაკშია და ვისაც ქრონიკული დაავადებები აქვს, ამიტომ აუცილებელია, ამ ჯგუფებზე გაკეთდეს მეტი აქცენტი და სწორედ 50 წლის ასაკის ზემოთ წამახალისებელი კამპანიები ჩავატაროთ, 200-ლარიანი დანამატი გადავუხადოთ და ყველა ის ვაქცინა, რომლებიც დღეს ხელმისაწვდომია, იყოს ათვისებული, – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

ირაკლი ღარიბაშვილი: „სანატორიუმ „ქართლში“ მცხოვრები ოჯახები ახალ საცხოვრებელს წელს უპირობოდ მიიღებენ“

– ახლა მინისტრ აზარაშვილს აქვს კიდევ უფრო სერიოზული გეგმები, მას აქვს ჩამოყალიბებული ხედვა, თუ როგორ მოაგვაროს უკვე დარჩენილი პრობლემები. მათ შორის ერთ-ერთი პრობლემა, რაც ბოლო დღეების განმავლობაში ჩვენ გვესმის, ეს არის სანატორიუმ „ქართლში“ მცხოვრებ დევნილთა ოჯახების პრობლემა.

ამის თაობაზე მინისტრის დავალებით საგენტომ უკვე შეიმუშავა გეგმა და შესთავაზა მათ ორი გზა.

ერთი არის – დევნილ ოჯახებს თბილისში ბინის მოძიება თავად შეუძლიათ და ამ შემთხვევაში კვ.მ.-ის ფასი იქნება 550 $-ის ეკვივალენტი ლარში, რომლის შესყიდვასაც განახორციელებს საგენტო და მეორე გზა – დევნილ ოჯახებს ასევე აქვთ ალტერნატივა, რომ დაელოდონ მათთვის შეძენილი ბინების მშენებლობის დასრულებას და ამ შემთხვევაში საგენტო მათ ქირის თანხით უზრუნველყოფას სთავაზობს.

რაც მთავარია, სანატორიუმ „ქართლში“ მცხოვრებ ოჯახებზე გასცა მინისტრმა დაპირება, რომლის მიხედვითაც, აღნიშნული ოჯახები ახალ საცხოვრებელ ფართებს წელს, წლის ბოლოს უპირობოდ მიიღებენ.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

პრემიერმა მოსახლეობას შეახსენა, რა მდგომარეობა იყო ქვეყანაში 2012 წლამდე დევნილთა საკითხების მიმართულებით.

– 2012 წლამდე იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების საკითხი ქაოსურად მიმდინარეობდა, განსახლების ძირითადი მიმართულება იყო დევნილთა მხრიდან „მოკავებული“ ფართების დაკანონება და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ობიექტების რეაბილიტაცია. არ არსებობდა ერთიანი სტანდარტი, რის მიხედვითაც რეგულირდებოდა განსახლების პოლიტიკა, განსახლების საკითხის განხილვისას არსებითი ყურადღება არ იყო გამახვილებული ოჯახის წევრთა რაოდენობაზე, იყო შემთხვევები, რომ ოჯახს, თუნდაც მათი ნების საწინააღმდეგოდ 9-10 კვ.მ. ფართი უკანონდებოდა, ასევე არ იყო შემუშავებული მეთოდოლოგია, რის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო განსახლების საჭიროების მქონე დევნილი ოჯახის შერჩევა და ასევე, 2012 წლამდე, განსახლების პროექტები ხორციელდებოდა უშუალოდ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ფინანსური ცვლის გამოყენებით და ბიუჯეტი იყო საკმაოდ მწირი.

2012 წლის შემდეგ ეტაპობრივად ამოქმედდა განსახლების სხვადასხვა პროგრამა, ალტერნატივა. მე მინდა, ეს ჩამოვთვალო და კიდევ ერთხელ შევახსენო მოსახლეობას:

ახალაშენებულ კორპუსებში იძულებით გადაადგილებული ოჯახებისთვის ბინების შესყიდვა დავიწყეთ ინტენსიურად და აქტიურად 2012 წლის პირველი ოქტომბრიდან;

ე.წ. სოფლად სახლის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც დევნილი ოჯახი თავად არჩევს და წარმოადგენს საგენტოში შესასყიდ სახლს;

დავიწყეთ მასშტაბური მშენებლობები იძულებით გადაადგილებული ოჯახების საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფის მიზნით;

დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის ღონისძიებების ფარგლებში, 27 000 დევნილი ოჯახი ახალაშენებულ კორპუსებში მდებარე საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილდა. განხორციელდა მასშტაბური პროექტები, – განაცხადა მთავრობის მეთაურმა.

„მოვითხოვთ, კონსტიტუციაში ჩაიწეროს, რომ საქართველო ნეიტრალური სახელმწიფოა“

მამუკა ტუსკაძე: „რუსეთ-უკრაინას შორის უკიდურესად დაძაბული სიტუაციაა, შეიძლება, დღე-დღეზე ომიც კი დაიწყოს. ეს იქნება ომი ნატოს პოტენციურ წევრსა და რუსეთს შორის“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პოლიტიკური მოძრაობა „სოციალური სამართლიანობისთვის“ ლიდერი **მამუკა ტუსკაძე** პასუხობს.

– ბატონო მამუკა, რა გაერთიანებას ქმნით თქვენ და სხვა პოლიტიკური ძალები?

– 20 იანვარს „პატრიოტთა ალიანსის“ ინიციატივით რამდენიმე პოლიტიკური სუბიექტი შევიკრიბეთ და ეროვნულ-კონსერვატიული პატრიოტული ძალების გაერთიანებას ჩავუყარეთ საფუძველი. ერთ-ერთი ლიდერი ჩემი ორგანიზაციაც („სოციალური სამართლიანობისთვის“) არის. 20 იანვარს მემორანდუმსაც მოვაწერეთ ხელი. დაახლოებით 10 პოლიტიკური პარტია და კიდევ 30-მდე საზოგადოებრივი ორგანიზაცია ვართ გაწევრიანებული.

ჩვენ ვქმნით ეროვნულ-პატრიოტულ ფრონტს, რომლის ფარგლებშიც მემორანდუმის საფუძველზე ვცდილობთ გავაერთიანოთ ყველანაირი რესურსი – სოციალური, მატერიალური, ტექნიკური და ყველა სახის, რომ შეიქმნას ახალი პლატფორმა ეროვნულ-პატრიოტული ფრონტის სახით.

– მიზანი რა არის?

– მიზანია, ორი ძირითადი ძალა, „ქართული ოცნება“ და ნაცმოძრაობა, გვერდზე გავწიოთ და ჩავანაცვლოთ. გვინდა, ჩვენმა გაერთიანებულმა ძალამ შემდეგ საპარლამენტო არჩევნებში ხმების ის რაოდენობა მიიღოს, რაც საჭირო იქნება საპარლამენტო არჩევნებში გასამარჯვებლად და ხელისუფლებაში მოსასვლელად. მგონი, უკვე დროა, ეროვნულ-პატრიოტული ძალები ხელისუფლებაში მოვიდნენ.

გარდა ამისა, ორშაბათიდან რეგიონებში გასვლას ვიწყებთ, დარგების მიხედვით კომისიებს ვქმნით. შესაბამისად, აქტიურად ვიმუშავებთ, რომ პატრიოტულმა ძალებმა საზოგადოების ნდობა მოიპოვონ და შემდეგ არჩევნებზე ბევრი ხმა მიიღონ.

– ეს იგივეა, რაც, ვთქვათ, ბლოკის შექმნა?

– არა, იგივე არ არის. შევეცდებით, ცვლილება განვახორციელებინოთ და ბლოკების შექმნის უფლება მივიღოთ, რომ მეტი საშუალება და შანსი გვქონდეს, უფრო ადვილად გადავლახოთ ბარიერი. დიდი ალბათობით, 5%-იან ბარიერს ძალაში დატოვებენ. ნაცმოძრაობაც და „ქართული ოცნებაც“ დიდი პარტიები არიან. ისინი შეეცდებიან, რაც შეიძლება მაღალი ბარიერი იყოს, რომ პოლიტიკურ ველზე ამ ორი პარტიის გარდა არავინ დარჩეს.

– არჩევნებზე ცალ-ცალკე გახვალთ თუ ერთიანად?

– ამ ეტაპისთვის ვერ ვიტყვით, როგორ გავალთ, თუმცა, თუ ხელისუფლება თავის პოზიციას შეცვლის და კანონით ბლოკების შექმნის საშუალება მოგვეცემა, სავარაუდოდ, შეიძლება, ეს გაერთიანება დიდ პოლიტიკურ ბლოკადაც გაერთიანდეს კოალიციის სახით. ჯერჯერობით კანონმდებლობა ბლოკებს არ უშვებს.

– ამბობთ, რომ თქვენი მიზანია ხელისუფლებაში მოსვლა, ანუ დღევანდელი მმართველი პარტიისა და ნაცმოძრაობის გვერდზე გაწევა, მაგრამ, თუ ხელისუფლებაში მოსასვლელად საკმარისი ხმები ვერ მიიღეთ, საჭიროების შემთხვევაში სხვებთან კოალიციას არ შექმნით?

– ეს მომავლის საქმეა. პოლიტიკა ისეთი თემაა, კოალიციის შექმნაც შესაძლებელია. მთავარია, ხალხი გამოვაფხიზლოთ და იმ დონემდე მოვიყვანოთ, რომ დარწმუნდნენ, ხელისუფლებაში მოსასვლელად აუცილებელია ეროვნულ-პატრიოტული ძალების გაერთიანება, რადგან ამ მიმართულებით ძალიან მძიმე მდგომარეობაა.

– თქვენი პირველი ნაბიჯი რა იქნება?

– პირველი ნაბიჯი უკვე გადავდგი. მე, პირადად, როგორც პოლიტიკური მოძრაობა „სოციალური სამართლიანობისთვის“ ორგანიზაციის ლიდერმა, ხელი მოვაწერე ქვეყნის სამხედრო მიუმხრობლობის შესახებ მემორანდუმს.

მსოფლიო და ევროპა დიდი ომის საფრთხის წინაშე დგანან. რუსეთ-უკრაინას შორის უკიდურესად დაძაბული სიტუაციაა. შეიძლება, დღე-დღეზე ომიც კი დაიწყოს. ეს არ იქნება მხოლოდ ორ ქვეყანას შორის ომი. ეს იქნება ომი ნატოს პოტენციურ წევრსა და რუსეთს შორის. აქ, გარკვეულწილად, საქართველოს ინტერესებიც იკვეთება. ამიტომ ჩვენმა ეროვნულ-პატრიოტულმა ფრონტმა ამ საკითხზე ფიქრი და მსჯელობა დაიწყო.

საკონსტიტუციო ცვლილებებსაც მოვითხოვთ, რომ საქართველო ყოველგვარ ომში მიუმხრობელი სახელმწიფო იყოს. მოვითხოვთ, საკონსტიტუციო ცვლილება განხორციელდეს და კონსტიტუციაში ჩაიწეროს, რომ საქართველო ნეიტრალური სახელმწიფოა და ყოველგვარი კონფლიქტების დროს მიუმხრობელი სახელმწიფო იქნება.

– სხვათა შორის, მოლდოვას კონსტიტუციაში ჩაწერილი აქვს, რომ ის არის ნეიტრალური სახელმწიფო, მაგრამ რუსეთი მაინც არ ანებებს თავს, მაგალითად, დნესტრისპირეთში.

– მესმის. რუსეთი ოკუპანტი სახელმწიფოა და შეეცდება, რაღაცნაირად ავნოს არა მარტო მეზობელ სახელმწიფოებს, არამედ არამეზობელ ქვეყნებსაც, მაგრამ მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია.

შესაბამისად, ვფიქრობ, საქართველოს განვითარების დიდი პერსპექტივა ექნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ომიანობის დროს მიუმხრობელი სახელმწიფო იქნება.

– ბატონ მამუკა, როგორც უფლებადამცველსა და ადვოკატს, მინდა გკითხოთ, საკაკაშვილს რატომ არ იცავთ? საკაკაშვილმა და მისმა ადვოკატებმა განაცხადეს, რომ ციხეში ისე ეპყრობიან საკაკაშვილს, როგორ მის დროს ეპყრობოდნენ მოლაშვილს. კაცს თურმე აწამებენ. რატომ არ იცავთ?

– არ ვიცი. სასწაული მდგომარეობაა. საკაკაშვილს მე ვერასოდეს დავიცავ, ვერ დაიცავს 150-მდე იურისტი და ადვოკატი, რომლებიც ციხეში

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ასეთი სამარცხვინო მინისტრი არ გვყოლია, ტიკარაძე სანატრელი გახდება“

ნონა ცაბაძე

ვატო სურგულაძე: „გამოდის მინისტრის მოადგილე, ეს გაუგებრობა ქალი და ჩვენ 40 ონლაინკლინიკა გავხსენითო. ვის რად უნდა შენი ონლაინკლინიკა!“

„ახალი თაობის“ კითხვებს ჯანდაცვის ექსპერტი **ვატო სურგულაძე** პასუხობს.

– ბატონო ვატო, როგორ აფასებთ ქვეყანაში არსებულ პანდემიურ სიტუაციას? თქვენ აკეთებდით პროგნოზს, რომ უკიდურესად რთული სიტუაცია გვექნებოდა იანვარ-თებერვალში და ასეც არის.

– სამწუხაროდ, ჩემი პროგნოზი მართლდება. ძალიან რთული მდგომარეობაა.

– თითქოს ნებაზე მიუშვა სიტუაცია ხელისუფლებამ. ასეა თუ რა ხდება?

– გეტყვით, რაც ხდება, არაფერს ხელისუფლება ამ კუთხით არ აკეთებს, საერთოდ არაფერი არ ხდება. პოლიტიკა აქვთ ასეთი, რომ როგორმე გადავაგორებთ. აბსოლუტურად არაფერს არ აკეთებენ, სისულელეს სისულელეზე ჩადიან, ტრაბახობენ, 40 ონლაინკლინიკა გავხსენითო და სამი დღეა, ჩემი ახლობელი ელოდება ოჯახის ექიმის ზარს. 8 თვის ბავშვი ჰყავს, დაემართა კოვიდი და ზარს არ ახორციელებენ. ცხელ ხაზზეც დავრეკეთ. სრული სტაგნაციაა და პოლიტიკა კი ასეთი, რაც იქნება, ის იქნება, გადაიტანს ყველა და რა ვქნათ. ამ ვითომდა მმართველებმა კლინიკების რაოდენობა შეამცირეს, რომლებიც ამ პროცესში იყვნენ ჩართული. ახლა კი ისევ მოუწიათ ორი კლინიკის დამატება. აბსოლუტურად არავითარი რისკების გათვლა, გამიჯვნა, საერთოდ არაფერს არ აკეთებენ.

– ონლაინკლინიკები ახსენეთ და ძალიან ბევრი არაპროფესიონალი დაასაქმეს ონლაინკლინიკებშიო, არასწორ რჩევებს აძლევენ კოვიდპაციენტებს, უაზროდ ნიშნავენ ანტიბიოტიკებს და სრული ქაოსია ამ კუთხითო. თქვენ რას იტყვით?

– სრულიად გეთანხმებით, ზუსტად ასეა ყველაფერი. ონლაინკლინიკის ექიმს, რომელიც ანტიბიოტიკს დანიშნავს ბინაზე, ჩემი აზრით, დიპლომიც კი უნდა ჩამოართვა. ადამიანს არ ესმის, რომ ანტიბიოტიკი არ არის სახუმარო მედიკამენტი! ანტიბიოტიკი არ შველის ვირუსულ ინფექციას! ანტიბიოტიკით არ ხდება რაღაცის პროფილაქტიკა. ანტიბიოტიკი ინიშნება მაშინ, როცა არის ბაქტერიული ინფექცია და ეს ყველაფერი გამაგრებულია ლაბორატორიული კვლევებით. ამიტომაც უსუსტესი, არაფრის გამკეთებელი და, რაც მთავარია, უყურადღებო ოჯახის ექიმები არიან. შეიძლება, ორ კვირაში ან ათ დღეში ერთხელ დაურეკონ პაციენტს?! ყოველდღიური კონტაქტი უნდა იყოს. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ შეთავაზებული გვქონდა, როგორ შეიძლებოდა ამის გაკეთება, მაგრამ, როგორც ხედავთ, სამწუხაროდ, ჩვენ არავინ არ გვისმენს და ფიქრობენ, რომ ყველაფერი მარტო თვითონ იციან. ამ დროს კი არაფერს არ აკეთებენ.

– ბატონო ვატო, ასევე ბევრი საჩივარი გვესმის კომპიუტერულ ტომოგრაფიასთან დაკავშირებით, სჭირდებათ თუ არ სჭირდებათ კატე, ყველას უკეთებენ, ამდენ ადამიანს ასხივებენ და კიდევ სხვა პრობლემებს უქმნიანო. რა ხდება?

– კომპიუტერული ტომოგრაფია არ არის ე.წ. პანაცეა. ეს არაფერს არ წყვეტს. გადაუღებენ და ამბობენ, ნახეთ, რამხელა დაზიანებაა, 15 ქულა. მნიშვნელობა არა აქვს, 15 ექნება თუ 20. სხვა პარამეტრები უნდა იყოს გამოსწორებული, თორემ ასე ხშირად კომპიუტერული ტომოგრაფიის გაკეთება არც ავადმყოფისთვის არის კარგი და ფინანსურადაც დიდ თანხებზე გავდივართ, როცა ამის საჭიროება არ არსებობს. ამიტომ მუდმივად კომპიუტერული ტომოგრაფიის გაკეთება არის არასწორი. სხვა მონაცემები გვაძლევს საშუალებას, რომ შევაფასოთ, რამდენად გაუმჯობესებული ან გაუარესებულია პაციენტის მდგომარეობა.

„ონლაინკლინიკებში უსუსტესი, არაფრის გამკეთებელი, უყურადღებო ოჯახის ექიმები არიან. შეიძლება, ორ კვირაში ან ათ დღეში ერთხელ დაურეკონ პაციენტს?!“

– ამაშიც დიდ ფულს იღებენ კოვიდკლინიკები?

– აბა, როგორ წარმოგიდგენიათ, მუქთად ვინმე რამეს გააკეთებს? არა, არავინ. ისედაც ძვირიანი პროცედურაა. ნამდვილად არ არის იაფი სიამოვნება. შესაბამისად, ზედმეტად კეთდება. ზოგჯერ კი, როცა საჭიროა, სწორედ მაშინ არ კეთდება. ზუსტად ეს არის ჩვენი პრობლემა, რომ დიაგნოსტირება ხდება ძალიან გვიან. პრაქტიკულად, პაციენტი უპატრონოდაა ბინაზე. შესაბამისად, როცა გვიანი დიაგნოსტირებაა, გვიან გადაგვყავს რთული შემთხვევებისას საავადმყოფოში, გვიან ვიწყებთ შესაბამის ადეკვატურ მკურნალობას და ამიტომაც გვყავს ამდენი გარდაცვლილი. წარმოიდგინეთ, ისრაელში ერთ კვირაში ჰქონდათ 200 ათასი ახალი შემთხვევა. კი, დიდი რიცხვია, მაგრამ სულ 4 ადამიანი გარდაიცვალა. ჩვენ მარტო დღეს გარდაგვეცვალა 34. ამ კუთხით გვაქვს ძალიან რთული მდგომარეობა.

– სხვა ქვეყნებში ყველგან ძალიან დაბალია გარდაცვალების მაჩვენებელი. რა ხდება ჩვენთან, სად უშვებენ შეცდომას?

– პირველი პრობლემა არის ის, რომ ვაქცინაციის ძალიან დაბალი მაჩვენებელია, ბუსტერზე აღარაფერს ვამბობ და მეორე მომენტი, პირველადი ჯანდაცვა, რომელმაც დროულად უნდა აღმოაჩინოს რთული პაციენტები, თორემ, კლინიკაში თუ ხვდება, იქ უკვე ყველაფერი უკეთდება. იმასაც ვერ ვიტყვი, რომ რაიმე მედიკამენტი არ აქვთ კლინიკაში. ყველაფრის მარაგი აქვთ. კიდევ ერთი პრობლემა ექიმებისა და ექთნების გადაღლილობაა. ორი წელიწადია, პრაქტიკულად, გაუჩერებლად მუშაობენ და მე ის მიკვირს, როგორ უძლებენ.

– ამ სიტუაციაში ალბათ კიდევ უფრო მეტად დაიტვირთება კლინიკები.

– რა თქმა უნდა. თანაც, როგორც ხედავთ, ემართებათ მეორედ, მესამედ. უბრალოდ, ვინც აცრილია, იმას ძალიან ადვილად გადააქვს და, შესაბამისად, არც დახმარება სჭირდება სტაციონარში. აი, ეს არის ჩვენი პრობლემა, ვაქცინაციის დაბალი დონე, პირველადი ჯანდაცვის სრული ჩავარდნა და ჩინოვნიკების უპასუხისმგებლობა.

– როდესაც ამბობენ, რომ ომიკრონი მარტივი ვირუსია, შესაძლოა, მარტივია აცრილისთვის, მაგრამ აუცრელი მოსახლეობისთვის?

– არ არის მარტივი. არ ვიცი, საიდან წამოვიდა ეს სულელური შეფასებები. მარტივია იმ ქვეყნებში, სადაც აცრილების რაოდენობა 70 და 80%-ია. იმავე ბრიტანეთში 67% უკვე ბუსტერ დოზით არის ვაქცინირებული. ამ ქვეყნებს პირველადი ჯანდაცვა აწყობილი აქვთ და მათ აქვთ ამის თქმის უფლება, ჩვენ კი არა გვაქვს.

– ზოგიერთი ქვეყანა პანდემიის დასრულებაზეც ალაპარაკდა.

– ეს ჯერ არავინ არ იცის. ეს ძალიან ოპტიმისტური პროგნოზია. ძალიან კარგი, თუ დამთავრდება, მაგრამ ხვალ რას გამოაგდებს კორონავირუსი, არავინ არ იცის, შეიძლება, ახალი შტამი გამოჩნდეს. ეს ომიკრონის ვირუსიც ძალიან ვერაგია, სწრაფი ტესტებით ვერ იჭერენ და ამიტომ არის, რომ სწრაფი პისიარითაც არ უდასტურდებათ. იმის თქმა, რომ ამ ვირუსმა კუდი მოიქნია, ნაადრევია. ძალიან კარგი იქნება, თუ ეს პრობლემა მოგვარდება, მაგრამ ეს, პირველ რიგში, მოგვარდება იმ ქვეყნებში, სადაც ვაქცინაცია მაღალ დონეზეა. ჩვენ, შესაძლოა, ენდემურ კერად დავრჩეთ, თუ ასე გაგრძელდა.

– ძალიან სწრაფად ვრცელდება, ლამის ყოველ მეორეს უკვე ვირუსი აქვს.

– საშინელებაა. მინისტრთა კაბინეტიდან ოთხ მინისტრს ვირუსი აქვს.

– ახალი ჯანდაცვის მინისტრი მოვა ახალი მიდგომებითო. მოვიდა, მაგრამ რა შეიცვალა უკეთესობისკენ?

– კარგით, რა, რომელი მინისტრი? საერთოდ გაკარგა რომ არ ჰქონია ჯანდაცვის სისტემასთან? რა უნდა თქვას ან რა უნდა გააკეთოს? კრედიტოფიცერი იყო. რა უნდა გააკეთოს კრედიტოფიცერმა ჯანდაცვის სამინისტროში? მით უმეტეს, ასეთ ურთულეს მდგომარეობაში. ამხელა სამინისტროა, მარტო ჯანდაცვაც ხომ არ არის. უამრავი პრობლემა არსებობს და რის გამკეთებელია ეს კაცი?! მას ერთადერთი დამსახურება აქვს ის, რომ არის ერთგული ბატონ ბიძინისი. სხვა დამსახურება მაგ ადამიანს არა აქვს. ერთი კრედიტოფიცერი იყო, ეგ არის და ეგ. ვინც ეგ თავდაცვის სამინისტროში მიიყვანა, ისიც მოსაკლავია და ახლა საერთოდ ჯანდაცვის მინისტრად დანიშნეს. ასეთი სამარცხვინო მინისტრი ნამდვილად არ გვყოლია.

– ანუ ტიკარაძეზე უარესია?

– რა შედარებაა, დიახაც, უარესია. წარმოიდგინეთ, მასზე უარესია. მალე მოგვიწევს, მგონი, თქმა, ვაა, ტიკარაძე რა ჯიგარი იყოო. მიხედონ პირველად ჯანდაცვას და თავი დაანებონ ამ ტელეფონით დანიშნულების მიცემას. ონლაინ არ ხდება მედიკამენტების დანიშვნა. გასცენ რეკომენდაციები. როგორ შეიძლება, ტელეფონით ანტიბიოტიკი დანიშნონ. ანალიზის გარეშე ამის გაკეთება არ შეიძლება. თუმცა, ჩვენდა სამწუხაროდ, ოჯახის ექიმების დონე ძალიან დაბალია. ორი წელია, ეს მდგომარეობა გვაქვს, ექსპერტთა ჯგუფი თავიდანვე ვთავაზობდით, სასწრაფოდ დაგვეწყო ოჯახის ექიმების გადამზადება, სპეციალური პლატფორმის შექმნა. თითი თითს არ დაადეს ამ კუთხით და გამოდის მინისტრის მოადგილე, ეს გაუგებრობა ქალი და ჩვენ 40 ონლაინკლინიკა გავხსენითო. ვის რად უნდა შენი ონლაინკლინიკა! ვინც იქ მუშაობს, არ იციან, რა უნდა გააკეთონ! აი, რა არის პრობლემა.

– პიკი ჯერ წინ გვაქვს?

– კი, წინ გვაქვს, ინფიცირებულთა რიცხვი გაცილებით მაღალი იქნება, გადაიტვირთება კლინიკები. კლინიკების გადატვირთვასაც კიდევ რა უჭირს, ყველაზე ცუდია გარდაცვლილი ადამიანები, რომლებსაც უკან ვეღარ დავაბრუნებთ. აგერ ორი დღის წინ გარდაიცვალა 23 წლის ბიჭი ღუდუშაურის კლინიკაში. აქაც იყო დაგვიანებული მიმართვა. აი, ეს არის მთავარი პრობლემა.

– როდის უნდა მიმართოს კოვიდპაციენტმა კლინიკას, რა რეკომენდაციას მისცემდით?

– ეს არის აუცილებელი ყველა ქრონიკული პაციენტისთვის, ვისაც აქვს დიაბეტი, ასთმა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის უკმარისობა, თირკმლების დაავადება. ყველა ქრონიკული მძიმე პაციენტი აუცილებლად უნდა დაწვეს კლინიკაში, მაშინაც, როცა სიცხე 3-4 დღე არის 38-ზე მეტი, არ ხდება გაუმჯობესება, იზრდება დაღლილობა, ასევე აუცილებლად უნდა იქონიონ პულსოქსიმეტრი. თუ 92-ზე ნაკლებია სატურაცია, ამ შემთხვევაშიც სავალდებულოა, კლინიკაში იყოს გადაყვანილი.

– არ გაქვთ კარგი პროგნოზი?

– სამწუხაროდ, არა, თუმცა კარგი მმართველობის პირობებში ყველაფერი გამოსწორებადია. რაც მთავარია, ამდენი ადამიანი არ უნდა გარდაგვეცვალოს. 23 წლის ბიჭი რომ გარდაგვეცვლება, ეს უკვე მეტისმეტია. ყველაფერს ცოდნა და შესაბამისი მართვა სჭირდება. მიგვიშვან და ვასწავლით, რა როგორ კეთდება.

„უკრაინას საქართველოს პარლამენტის მხარდაჭერა სჭირდება“

ნათია ხურცილავა

სალომე სამადაშვილი: „ქართული ოცნება“ ათი წელია, ქვეყანას მართავს. ამ ხნის განმავლობაში ნატოში ინტეგრაციის მიმართულებით ნული პროგრესი მივიღეთ“

დეპუტატი სალომე სამადაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს საქართველოს ოფიციალური პოზიცია უკრაინა-რუსეთის საკითხზე.

– ქალბატონო სალომე, ოპოზიციის ლიდერები გუშინ საქართველოში უკრაინის ელჩს შეხვდნენ. რა შეგიძლიათ გვითხრათ ამ შეხვედრაზე?

– ფრაქცია „ლელოს“ წარმომადგენლები ბადრი ჯაფარიძე, გრიგოლ გეგელია და მე შევხვდით უკრაინის ელჩს. ჩვენი შეხვედრის მიზანი იყო, პირველ რიგში, გადაგვეცა ოფიციალური ნოტა, რომელსაც ჩვენ ვუგზავნით პრეზიდენტ ზელენსკისა და უკრაინის რადის თავმჯდომარეს. ეს არის ჩვენი ოფიციალური გზავნილი უკრაინაში მიმდინარე მოვლენებისადმი.

ახლა უკრაინელ ხალხს მხარდაჭერა სჭირდება. მე ვიცი, რაოდენ მნიშვნელოვანია ეს მხარდაჭერა. როდესაც ჩვენ გავხდით რუსეთის აგრესიის მსხვერპლი, მახსოვს, რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ჩვენი უკრაინელი მეგობრების პოზიცია, მათი პოლიტიკური მხარდაჭერა.

ახლა, როდესაც უკრაინა დგას რუსეთის მორიგი აგრესიის საფრთხის წინაშე, ჩვენმა მეგობრებმა უნდა იცოდნენ, რომ მათ პოლიტიკურად მხარს უჭერენ საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილი პოლიტიკური ძალები. ჩვენ ამ მხარდაჭერას ვუცხადებთ უკრაინელ ერს, მათ არჩევანს.

– რამდენად მნიშვნელოვანია ამ შემთხვევაში, ერთიანი პოზიცია ჰქონდეთ ოპოზიციასაც და ხელისუფლებასაც?

– ვფიქრობ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. უკრაინამ უნდა იცოდეს, რომ არ არსებობს არავითარი გამყოფი ხაზები იმ საკითხზე, რასაც უკრაინის მხარდაჭერა ჰქვია. სწორედ ამიტომ ოპოზიციამ გადაწყვიტა, საპარლამენტო რეზოლუცია შევიმუშაოთ, რომელსაც პარლამენტი სრული შემადგენლობით მიიღებს.

ასევე, ჩვენ მივმართეთ ხელისუფლებას, რომ კარგი იქნება, ამ კონკრეტულ შემთხვევაში უკრაინაში მრავალპარტიული დელეგაცია გაემგზავროს. ვნახოთ, როგორი იქნება ხელისუფლების მხრიდან ამ კონკრეტულ ინიციატივებზე გამოხმაურება.

– პარლამენტის თავმჯდომარე პაპუაშვილმა მზაობა გამოთქვა, რომ ჩაერთოს რეზოლუციის ტექსტის მოსამზადებელ სამუშაოში. როგორ ფიქრობთ, პარლამენტი რეზოლუციის ტექსტს მიიღებს?

– რადგან მმართველი პარტია ამბობს, რომ მზად არიან, ჩაერთონ კონსულტაციებში, იმედი მაქვს, კონსულტაციები მართლაც გაიმართება უახლოეს დღეებში და შევძლებთ ჩვენი სახელმწიფოს პოზიციის დაფიქსირებას.

იმედი მაქვს, პირველ თებერვალს, როდესაც საგაზაფხულო სესია გაიხსნება, პირველივე პლენარული სხდომის კვირას შევძლოთ ორი ძალიან მნიშვნელოვანი რეზოლუციის მიღება: ერთი, უკრაინის მხარდამჭერი რეზოლუციისა და მეორე – ნატოში ჩვენი ქვეყნის გაწევრიანების მხარდამჭერი რეზოლუციისა. ეს ორი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური საკითხია, რომლებზეც გადაწყვეტილების მიღება, ვფიქრობ, საგაზაფხულო სესიის სწორი დასაწყისი იქნებოდა.

– როგორ ფიქრობთ, ნატოს გაფართოების საკითხზე გერმანიის ძალიან ღია სკეპტიკური დამოკიდებულება, ასევე დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, უკრაინაში განვითარებული მოვლენების კვალდაკვალ შეიძლება შეიცვალოს თუ ასე ოპტიმისტურად არ ხართ განწყობილი?

– დასავლეთს არსებული რეალობიდან უნდა გამოჰქონდეს დასკვნები, რომ საბოლოო ჯამში ჩვენს რეგიონში არასტაბილურობას დაასრულებს მხოლოდ საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრიანების გადაწყვეტილება. შეიძლება, დღეს რუსეთი ქმნის განცდას, რომ ნატოს გაფართოებას ვერასოდეს შეეგუება, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, მოუნევს შეეგუოს, ისევე, როგორც მოუწია აღმოსავლეთ ევროპის ნატოში გაწევრიანებისთვის შეგუება.

მნიშვნელოვანია, დასავლელ პარტნიორებს ესმოდეთ, რომ მათივე უსაფრთხოებისთვის არის საშიში რუსეთთან რაიმე სახის დათმობაზე წასვლა. ეს არის ის მიმართულება, რომელზეც უნდა მუშაობდნენ საქართველო და უკრაინა. აუცილებელია, გაღრმავდეს ჩვენ და უკრაინას შორის თანამშრომლობა ჩვენი ევროატლანტიკური მომავლისა და თავისუფლების დასაცავად. ეს კრიზისი უნდა გადაიქცეს იმ შესაძლებლობად, რომელიც ჩვენს ქვეყნებს ნატოსთან დააახლოებს. ვფიქრობ, ევროპის კონტინენტზე უსაფრთხოების განმტკიცებას ემსახურება პირველ რიგში ნატოში საქართველოსა და უკრაინის გაწევრიანება.

– ამ გზაზე რაოდენ მნიშვნელოვანია საშინაო დავალების შესრულება, ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესი თუ ეს უფრო მაღლა მდგომი პოლიტიკური საკითხია, რომელიც ნატოს წევრი სახელმწიფოების გადასაწყვეტია?

– სამწუხარო რეალობა ის არის, რომ ჩვენი ხელისუფლება თავად ქმნის ყველა საფუძველს, რათა სკეპტიკური დამოკიდებულება არსებობდეს ნატოში საქართველოს გაწევრიანების პერსპექტივასთან დაკავშირებით. ევროკავშირი, ნატო – ეს, პირველ რიგში, დემოკრატიული სახელმწიფოების ალიანსია. ამიტომ დემოკრატიის გზაზე უკან სვლა საფრთხეს უქმნის ჩვენსავე მომავალს ნატოსა და ევროკავშირში.

„ქართული ოცნება“ ათი წელია, ქვეყანას მართავს. ამ ხნის განმავლობაში ნული პროგრესი მივიღეთ ნატოში ინტეგრაციის მიმართულებით. ეს არის სამწუხარო რეალობა, ეს არის უაზროდ დაკარგული დრო, რაც უნდა რუსეთს. უზარმაზარი ჩავარდნა გვაქვს ევროატლანტიკური მიმართულებით, რაზეც პოლიტიკური პასუხი პირველ რიგში „ქართულ ოცნებას“ უნდა მოეთხოვოს.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

უკრაინაში რუსეთი ბლიცკრიგს ჩაატარებს?

ამერიკელი მოღვაწე: „რუსეთი უნდა გაირიცხოს ყველა საერთაშორისო ორგანიზაციიდან“

მარიამ მჭედლიშვილი

მდგომარეობა აღმოსავლეთ ევროპასა და მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში კვლავინდებურად უკიდურესად დაძაბულია. რუსეთის შესაძლო შეჭრა უკრაინაში ისევ რჩება დღის წესრიგში. უკრაინელი ექსპერტი ვალენტინ ბადრაკი აცხადებს, რომ 80%-ით არსებობს რუსეთის მიერ უკრაინაში სახმელეთო ოპერაციის ჩატარების საფრთხე.

ამასთან, მისი აზრით, უკრაინა ომისათვის არ ემზადება. ომისათვის მზად არ არის რუსეთიც. ტექნოლოგიურად რუსეთი გამოფიტულია. მას ცოტა აქვს თანამედროვე ტაქტიკური შეიარაღება, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა, ჩაეტარებინა წარმატებული და ხანგრძლივი ოპერაციები.

უკრაინელი ექსპერტი ვარაუდობს, რომ რუსეთისთვის ხელსაყრელია მომენტის შერჩევა და ბლიცკრიგის განხორციელება. არ უნდა გამოირიცხოს სადესანტო შტურმი კიევზე ხელისუფლების შეცვლის მიზნით. უკრაინაში არიან პრორუსული ელემენტები, რომლებიც სიხარულით დასთანხმდებიან, სათავეში ჩაუდგნენ რუსეთის ვასალს. ამგვარი ვასალი გახდა ბელარუსი. მისი თქმით, მოახერხებს თუ არა კრემლი ასეთი ოპერაციის ჩატარებას, დამოკიდებულია უკრაინის გენერალიტეტის მოქმედებებზე.

ერთ-ერთ რუსულ სცენარად ანალიტიკოსი განიხილავს მასობრივი პროტესტის პროვოცირებას. ამის მცდელობა უკვე იყო, როცა ხალხი გამოვიდა პოროშენკოს „დასაცავად“.

ექსპერტი აკრიტიკებს უკრაინის ხელისუფლებას იმის გამო, რომ მან თავისი უუნარობით შექმნა პირობები ახალი რუსული აგრესიისათვის. დონბასში პროცესების მიმდინარეობის 8 წლის განმავლობაში უკრაინამ ვერ შექმნა საგარეო აგრესიის შემაკავებელი ძლიერი თავდაცვისა და ეროვნული წინააღმდეგობის სახით. უკრაინის ხელისუფლება პრობლემის მოგვარების მხოლოდ დიპლომატიურ და პოლიტიკურ მექანიზმებს ეყრდნობოდა.

ავტორის თქმით, რუსეთი დააფიქრა იმან, რომ უკრაინის პარტნიორებმა აშშ-მ და ბრიტანეთმა მძლავრი შეიარაღება გადმოსცეს კიევს. მოსკოვი ხედავს, რომ უკრაინა ხელიდან უსხლტება და გამოდის მისი კონტროლიდან. კიდევ 3-5 წელიწადი და უკრაინა რუსეთისთვის კერკეტი კაკალი გახდება.

მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცა გაერთიანებული სამეფოს საგარეო უწყების მიერ გაკეთებული განცხადება იმის შესახებ, რომ რუსეთი უკრაინაში ცვლის ხელისუფლებას და სათავეში მოჰყავს თავისი ხალხი, მათ შორის, რადას ყოფილი დეპუტატი ევგენი მურაევი. მურაევი თავის თავს მომავალ პრორუსულ ხელისუფლებაში არ მოიაზრებს, აცხადებს, რომ მას რუსეთის სანქციები აქვს დაწესებული. მურაევის თქმით, ამ მიზნებისთვის რუსეთს სხვა კანდიდატურები ჰყავს შერჩეული.

დასავლელი მოღვაწეებისა და მიმომხილველების უმრავლესობა ასკვნის, რომ რუსეთის აგრესიას დაპირებული სანქციები ვერ შეაჩერებს. აშშ-ის ყოფილი წარმომადგენელი ეუთოში ჯეიმს გილამორი აცხადებს, რომ საჭიროა მკაცრი ზომები. მისი თქმით, სანქციები რუსეთის წინააღმდეგ უნდა იყოს ნამდვილი, მკაცრი და მუდმივი. ბაიდენის დამოკიდებულებამ „ჩრდილოეთი ნაკადი 2“-ის მიმართ დაადასტურა, რომ სანქციებს დროებითი ხასიათი აქვს.

ამერიკელი მოღვაწე გილამორი მოითხოვს, რომ რუსეთი გაირიცხოს ყველა საერთაშორისო ორგანიზაციიდან. ეუთო ხელმძღვანელობს ჰელსინკის შეთანხმებებით. ამ დოკუმენტების თანახმად, არც ერთ სახელმწიფოს არა აქვს უფლება, დაარღვიოს აღიარებული საზღვრები. მისივე აზრით, ხელი უნდა შეეწყოს ფინეთისა და შვედეთის ნატოში შესვლას.

ეუთოს ყოფილი მაღალჩინოსანი ამბობს, რომ საჭიროა განმარტებების მიცემა რუსეთის მოსახლეობისათვის, რომელსაც კრემლი ჩააგონებს, რომ ის ნატოს მხრიდან მუქარის მსხვერპლია. ხალხს უნდა აუხსნან, რომ ეს არის სიცრუე. ამ სიყალბით რუსეთის ხელისუფლება ცდილობს წინააღმდეგობის ჩახშობას აგრესორის მიმართ, რომელიც თავს ესხმის თავის მეზობლებს.

იგი ამბობს, რომ რუსეთმა კიევის წინააღმდეგ სამხედრო პლაცდარმად გადააქცია 2014 წელს ანექსირებული ყირიმი. მანამდე, 2008 წელს, რუსეთი შეიჭრა საქართველოში. მას ოკუპირებული აქვს აფხაზეთი და „სამხრეთი ოსეთი“. რუსეთმა მოლდოვის ნების წინააღმდეგ განალაგა თავისი სამხედრო კონტინგენტი დნესტრისპირეთში.

„გათავისუფლებულ ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს, არ სურთ, დაჰყვნენ რუსეთის ნებას“

პუტინის ულტიმატუმებს ბევრმა უწოდა შეუსრულებელი. ბილამორის შეფასებით, პუტინს უნდა, რომ ნატოში არ მიიღონ ახალი წევრები და ნატომ გამოიყვანოს ჯარები აღმოსავლეთ ევროპის სუვერენული სახელმწიფოებიდან. პუტინი, ფაქტობრივად, მოითხოვს, ნატო გადაიქცეს ალიანსაჩრდილად.

ამერიკელი მოღვაწე ამბობს, რომ ნატოს თემატიკით პუტინი ყველას შეცდომაში შეყვანას ცდილობს. პუტინის სტრატეგიული მიზანია საბჭოთა იმპერიის, ძველი საბჭოთა ბლოკის აღდგენა. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია უკრაინის დაქვემდებარება. პუტინი იმეორებს, რომ რუსები და უკრაინელები ერთი ხალხია. მას ეჭვი ეპარება, რომ უკრაინა სახელმწიფოა. ავტორის თქმით, რუსეთს, უკრაინისა და საქართველოს გარდა, შეიძლება ხელიდან გამოეცალოს ბელარუსი და ყაზახეთი. ახლად გათავისუფლებულ ქვეყნებს, მაგალითად, ლავტიას, ლიტვას, ესტონეთს, რუმინეთს, უნგრეთს, პოლონეთს, საქართველოს, სლოვაკეთს, ჩეხეთსა და ყოფილი საბჭოთა იმპერიის სხვა ქვეყნებს არ სურთ, დაჰყვნენ რუსეთის ნებას. ამასთან, ძლიერია აშშ-ის ალიანსი ევროპის სხვა სახელმწიფოებთან. აშშ აღმოჩნდა ახალი ცივი ომის მდგომარეობაში. მან უნდა გადაწყვიტოს მსოფლიოს ბედი.

მკაცრი და გადამწყვეტი მოქმედებებისკენ ბაიდენს სხვაც ბევრი მოუწოდებს. ამერიკული მედიის ცნობით, აშშ-ის პრეზიდენტი განიხილავს აღმოსავლეთ ევროპაში ათასობით სამხედრო მოსამსახურის გადასროლის შესაძლებლობას. საუბარი არ არის უკრაინის ტერიტორიაზე. თუ ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა, ბალტიისა და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში განათავსებენ ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეებს, გემებსა და ავიაციას. 5.000-დან ნაწილი – ამერიკიდან, დანარჩენები კი ევროპის ქვეყნებიდან იქნებიან მივლინებული.

შექმნილი მდგომარეობა ნებისმიერ შემთხვევაში ეხება საქართველოს. ნატოში საქართველოსა და უკრაინის გაწევრიანების საკითხი ამ მომენტში დღის წესრიგში არ დგას. ნატოს თემა ხშირად გამოიყენება რიტორიკის გასამწვავებლად. ვითარება კი ისედაც მწვავეა.

„მოვითხოვთ, კონსტიტუციაში ჩაიწეროს, რომ საქართველო ნეიტრალური სახელმწიფოა“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ჰყავდა გამოკეტილი იმის გამო, რომ ისინი უდანაშაულო პატიმრებს იცავდნენ. შემდეგ ეს 150 ადვოკატი თავად გახდა პატიმარი. ეს ყველაფერი სააკაშვილის რეჟიმის დროს იყო. ბედის ირონია კი არა, საცოდაობაა თქმა იმისა, რომ სააკაშვილს ციხეში ცუდად ეპყრობიან, აწამებენ.

– სახალხო დამცველის მიერ შეკრებილი ექიმების კონსილიუმმა თავისი დასკვნა დადო. მხოლოდ ერთ რამეზე გავამახვილებ ყურადღებას – ერთ-ერთმა ექსპერტმა თქვა, რომ პატიმარ სააკაშვილისთვის სტრესის მოხსნაა საჭირო. პატიმრისთვის სტრესის მოხსნა როგორ უნდა მოხერხდეს?

– სასწაულია. გაოგნებული ვარ. არ ვიცი, როგორ ხდება სტრესის მოხსნა. აქვე მინდა ვთქვა, რომ ყოფილ პრეზიდენტს, თუნდაც სააკაშვილსა და სააკაშვილისნაირ დიქტატორს, როგორც პატიმარს, როგორც ადამიანს, აქვს გარკვეული უფლებები, მაგრამ საზოგადოების დაცინვაა იმის თქმა, რომ ჯერ კიდევ ციხეში მყოფი სააკაშვილის ფსიქოლოგიური რეაბილიტაციარესოციალიზაციის საკითხებზე მუშაობენ.

სააკაშვილის დროს 300 ათასი ადამიანი უკანონოდ იყო დასჯილი, მსჯავრდებული, გაკოტრებული და გაუბედურებული. მათ არ სჭირდებოდათ ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია, რომ სახელმწიფოსაც არ აუღია პასუხისმგებლობა იმ 300 ათასი ადამიანის წინაშე?

– აქედან რა დასკვნა გაქვთ?

– დასკვნა ის არის, რომ დღეს ქართულ ციხეებში ისე, როგორც არასდროს, პატიმრებისთვის ღირსეული პირობებია. სააკაშვილს ორმაგად ღირსეული პირობები აქვს. მიშას ყველა ბრალი წაყენებული არ აქვს. უმჯობესია, მისმა ადვოკატებმა იზრუნონ იმ არაერთ ბრალზე, რომლებიც შეიძლება სააკაშვილს მომავალში წაეყენოს და როგორმე მტკიცებულებები შეაგროვონ, რომ ვადა შეუმცირდეს. შეეშვან გასაოცარ განცხადებებს. მით უმეტეს სახალხო დამცველის მხრიდან ძალიან არასწორია ერთი პატიმრის გამოყოფა, რადგან ციხეში კიდევ 9 ათასი პატიმარია. დანარჩენ 9 ათას პატიმარს ერთი პატიმარი წონის, მით უმეტეს – სახალხო დამცველის მხრიდან.

სასურველია, სახალხო დამცველი და დასავლური არასამთავრობო ორგანიზაციები ცოტა გონს მოეგონ და ისეთი დასკვნები დადონ, რომლებიც რეალურია და სხვა პატიმრების დისკრედიტაციას არ მოახდენს, მათ არ შეურაცხყოფს.

სამამაცომა საქმემა პასკვილი ფუჭად აქცია

ჩემგან პასუხად მიიღეთ გმირების პრეზენტაცია,
არა რაიმე მიგნება, არცა რა ინოვაცია,
სამამაცომა საქმემა პასკვილი ფუჭად აქცია,
ვიცი მე, ისა გამიგებს, ვინც სულით ერისკაცია.

ეს მოკლედ.

ახლა კი: გასული წლის 14 დეკემბერს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი „36-საფეხურიანი კურიოზი“, სადაც მისი ავტორი იოსებ ჭუმბურიძე ბრალს მდებს, ვითომ მე ვითხოვ, დიღომში ცხენზე მჯდარი აღმაშენებლის ძეგლს მიემატოს 36-საფეხურიანი კიბე და გადმოვიტანოთ ზოოპარკში, რაც სიცრუეა.

ჩემი იდეაა, გმირთა მოედანზე ან ზოოპარკის გადატანის შემთხვევაში, ზოოპარკის ტერიტორიაზე აღიმართოს ფეხზე მდგარი მეფეთმეფის 36-საფეხურიანი კიბის მემორიალი (ძეგლსა და მემორიალს შორის რომ დიდი განსხვავებაა, ცნობილია და პროფესორს არ უნდა ეშლებოდეს).

36-ვე საფეხური კი დამშვენდეს აღმაშენებლის ისტორიული მოღვაწეობის წარწერებით, მაგ.: 1-ლი საფეხური: 1089 წ. დავითის გამეფება – თავის თავს უკრძალავს, დატკბეს მეფური ცხოვრებით;

მე-2-ზე: 1090 წ. დაამკვიდრა სტილი „ღირსეულთა ამაღლებისა და უღირსთა დამდაბლებისა“;

32-ზე: 1121 წ. – დიდგორი – ძლევაი საკვირველი;

33-ზე: 1122 წ. – 400 წლის განმავლობაში მტრის ხელში მყოფი თბილისის განთავისუფლება და ა.შ.

ეს შთამბეჭდავი, გულგასახარი სიტყვები მემორიალის კიბეებზე რომ იყოს წარწერილი და ყველა ქართველმა კიბეზე ასვლით ფეხი დაადგას, თან ამოიკითხოს და შეძრას კიდეც, სასაცილოა?

ან თუნდაც ის, რომ ახლადარჩეულმა საქართველოს პრეზიდენტებმა ერთგულების ფიცი სწორედ აქ, მემორიალზე დადონ.

ბატონ იოსებს აღიზიანებს ისიც, რომ წერილის ხელმომწერები არ არიან არქიტექტორები. რა შუაშია არქიტექტორი, როცა ჟღერდება იდეა, რომელსაც განხილვა სჭირდება და მოწონების შემთხვევაში არქიტექტორიც ეყოლება, მოქანდაკეც და დამფინანსებელიც.

ე.ი. ლადო ასათიანს რომ ავუსრულოთ თავის ლექსში ნანატრი:

„გთხოვთ, არ გაიგოთ სხვანაირი სახით
ეს გახუმრება და ეს ბარათი,
მე მინდა, თქვენთან დავიდგა ბინა
და მთაწმინდაზე დავრჩე მარადის“

და გადავასვენოთ მთაწმინდაზე, **მესაფლავემ** უნდა დააყენოს საკითხი?

მიზეზი თუ ესაა, საქვეყნოდ ვდებ პირობას, **ლადოს გულისთვის მესაფლავეც გავხდები და ჩემი მარჯვენით, მარტოკა გავუჭრი საფლავს მთაწმინდაზე, ხარჯებსაც პირადად გავიღებ.**

დიდი ლადოს მთაწმინდაზე გადასვენების საკითხი არაერთხელ **მეც** დამიყენებია (იხილეთ 2016 წ. 24 იანვრის „ასავალ-დასავალი“).

ბატონ ჭუმბურიძეს აღელვებს ისიც, რომ მერაბ ბერძენიშვილის ოჯახს არ შევუთანხმდი. როგორც მთელი ქვეყანა, ასევე მეც უდიდეს პატივს ვცემ ბატონ მერაბს არა იმიტომ, რომ მას ჩემზე საქებარი წერილი გამოუქვეყნებია (იხილეთ 2013 წლის 31 მაისის გაზ. „საქ. რესპ.“), არამედ იმიტომ, რომ **დიდი მამულიშვილია;** მაგრამ, რა შუაშია, ბატონო იოსებ, ეს ციტატა, როცა მე ვაჟღერებ სრულიად განსხვავებულ იდეას.

850 წლის რუსთაველს 850-სტრიქონიანი ლექსი მივუძღვენი – „ვაზის და 850 წლის რუსთაველის საუბარი“, ასევე „წუთისოფლის წიგნი“ (იხ. ბიბლუსის მაღაზიებში) და ნებართვა პოეტების ოჯახებიდან უნდა მიმეღო?

დავძენ იმასაც, რასაც პატივცემული პროფესორი ირონიით აღნიშნავს, კახა კალაძე გაზეთებში გამოქვეყნებულ წერილებს ყურადღებას არ აქცევსო, მაშინ, როცა ბატონი კახას გამოსვლებს ტელევიზიით სიამაყით ვისმენთ, ყოველ კარგ იდეას თბილისის მერია მხარს უჭერსო.

მაგალითად, მისი ინიციატივით თბილისში 9 ახალი პარკი რომ შენდება და ერთ-ერთი რუსთაველის აფორიზმებით, სტრიქონებით, „ვეფხისტყაოსნის“ გმირების სურათებითა და იმდროინდელი ეპიზოდები ორიგინალური ოსტატობით რომ დამშვენდეს (ვგულისხმობ ოქროს ხანის თვალმარგალიტიან ფაქტებსაც) (შემიძლია წარმოგიდგინოთ ესკიზი/მაკეტი) და მას **„ვეფხისტყაოსნის“ პარკი** (ბაღი) ეწოდოს, სასაცილოა?? სადაც ეროვნული სულის ისეთი სამყარო შეიქმნება, რომ შეიძლება, ღია ცის ქვეშ „ვეფხისტყაოსნის“ მუზეუმადაც იქცეს. და ეს პრესით რომ გაიგოს ბუნებით რეფორმატორმა დედაქალაქის თავკაცმა და საზოგადოებამ, კურიოზია??

შეუპოვარო პროფესორო, ჩვენი მიზანი ის კი არ უნდა იყოს, ინიციატივის გამოჩენისას სიბოროტით ვის რა შარი მოვდოთ, არამედ დევიზად უნდა ვაქციოთ: **ტკბილი სამშობლო ამქვეყნად სიყვარულითა შენდება.**

ენერგიის მთელი მარაგი უნდა დავხარჯოთ სამშობლოს აყვავებაში, პირიქით კი ხშირად იმიტომ ხდება, რომ ცილისწამებისთვის არავინ ისჯება.

იდეა თუ დახვეწას მოითხოვს, მისი ასპარეზისთვის დამატებითი გზები უნდა მოვნახოთ და არა **გესლიანი დაცინვის ფანდები.**

პატივცემულო მკითხველო, თუ ვიმსახურებ ნდობას და მეთანხმებით, დედაქალაქში უნდა იდგეს იმ დიდი, ბრწყინვალე კაცის მემორიალი იმდენივე კიბის საფეხურით (სიმბოლურად), რამდენი წელიც მან საქართველოს შესწირა და **თბილისი გაღაგვარებისგან გაღაარჩინა. უმორჩილესად გთხოვთ, გემუდარებით, გამოხატეთ თქვენი აზრი.**

თამაზ ქვლივიძე
საქართველოს დამსახურებული გამომგონებელი,
ღირსებისა და არაერთი ოქროს მედლის მფლობელი,
38 გამოგონების, 8 წიგნის,
მრავალი გამოქვეყნებული
სტატიისა და იდეის ავტორი
ტელ. 599 104 318

ნინო ლომჯარია სტრასბურში გაემგზავრა

სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია სამუშაო ვიზიტით სტრასბურში გაემგზავრა. მიხეილ სააკაშვილის საქმე, 5 ივლისს ჟურნალისტებზე ძალადობა და სახელმწიფო ინსპექტორის გაუქმება მაღალი რანგის შეხვედრების მთავარი საკითხები იქნება.

ომბუდსმენი შეხვედრებს ევროსაბჭოს გენერალურ მდივანთან, სტრასბურის სასამართლოს პრეზიდენტთან, ევროსაბჭოს ადამიანის უფლებების კომისართან და სხვა ოფიციალურ პირებთან გამართავს.

– ვიზიტის მიზანია, რომ სტრასბურის ინსტიტუტებს, ევროსაბჭოს ინსტიტუტებს გავაცნოთ საქართველოში არსებული მდგომარეობა ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, მივაწოდოთ მათ განახლებული ინფორმაცია და, რა თქმა უნდა, პასუხი გავცე მათ შეკითხვებს.

ინტერესი იქნება საქართველოში 5 ივლისს განვითარებული მოვლენების თაობაზეც, და მივაწვდი მათ ინფორმაციას თუ რა მდგომარეობაა გამოძიების მიმართულებით, იყო რა თქმა უნდა, მიხეილ სააკაშვილის საქმეზეც გამოხატული ინტერესი, ასევე, სახელმწიფო ინსპექტორის აპარატის მიმართ განხორციელებულ ცვლილებებზეც მივაწვდი ჩემს პოზიციას, – თქვა ნინო ლომჯარიამ.

ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები 3 დღეს გაგრძელდება.

პატრულმა ყრუ-მუნჯი ახალგაზრდა ისნის მეტროში სასტიკად ცემა

თბილისის ისნის მეტროში პატრულმა 18 წლის მოქალაქე პოლიციის ოთახში შეიყვანა და სასტიკად ცემა.

მედიაში გავრცელებულ ვიდეოკადრებში კარგად ჩანს, რომ ნაცემია ყრუ-მუნჯი ახალგაზრდა, რომელსაც პოლიციელი გამეტებით მუშტებს თავისა და სახის არეში ურტყამს.

სამართალდამცველი მას გამეტებით მხოლოდ იმის გამო ურტყამდა, რომ მამაკაცი მის კითხვებს ვერ პასუხობდა.

სასტიკ ანგარიშსწორებამდე სამართალდამცველს შშმ პირის მეგობრები უხსნიდნენ, რომ ახალგაზრდა განსაკუთრებული საჭიროების მქონე იყო და მის კითხვებს ვერ უპასუხებდა.

შსს-მ ვიდეომასალაზე განცხადება გაავრცელა.

„შინაგან საქმეთა სამინისტრო პირველ რიგში გმობს ნებისმიერი სახის ძალადობას, უწყებისთვის კატეგორიულად მიუღებელია პოლიციელის მხრიდან ნებისმიერი ძალადობრივი ქმედება, რომელიც შესაძლოა არღვევდეს ადამიანის უფლებებს.

მედიასაშუალებებში მიმდინარე წლის 24 იანვარს გავრცელდა თბილისის მეტროპოლიტენში გადაღებული ვიდეომასალა, სადაც პოლიციელის მხრიდან შესაძლო დანაშაულის ჩადენის ფაქტია ასახული.

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ ვიდეომასალის გავრცელებისთანავე დაიწყო ფაქტის მოკვლევა, რომლის ფარგლებში მოპოვებული მასალები უკვე გადაუგზავნა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა პოლიციელის მხრიდან ძალადობით უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით დაიწყო“, – ნათქვამია განცხადებაში.

ბათუმში ზღვამ ქალის ცხედარი გამორიყა

ბათუმში ზღვამ ქალის ცხედარი გამორიყა.

შემთხვევა 23 იანვარს, გამთენიას მოხდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროში ფაქტს ადასტურებენ და ამბობენ, რომ გამოძიება სსკ-ის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

დამატებითი დეტალები ამ დროისთვის უცნობია.

საგარეჯოს პოლიციის შენობიდან ახალგაზრდა კაცმა გადახტომა ცადა

7 იანვარს საგარეჯოში გამართული კონცერტი პოლიციასთან ფიზიკური დაპირისპირებითა და 2 ახალგაზრდის დაკავებით დასრულდა. კიდევ რამდენიმეს კი სამართალდამცველები პირდაპირ დაემუქრნენ იარაღის ჩადებითა და დაჭერით, თუ ხმის ამოღებას გაბედავენ.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ახალგაზრდებმა გარდაცვლილი სამხედროსთვის პატივის მიგება მოინდომეს და დაკრძალვის პარალელურად კონცერტის ჩატარება სცენიდან გააპროტესტეს.

ვითარების კონტროლის ქვეშ დაბრუნება შორიახლოს მდგარმა პოლიციელებმა განიზრახეს, რომლებიც, სავარაუდოდ, არაფხიზელ მდგომარეობაში იყვნენ და ახალგაზრდებსაც გაუსწორდნენ.

მთავარი არხის ცნობით, ერთმა დაკავებულმა ფურთხების, გინებისა და ცემის შემდეგ განყოფილების შენობიდან გადმოხტომაც კი ცადა. ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ ნაცემი ახალგაზრდები აქეთ დაიჭირეს და პოლიციაზე თავდასხმა ბრალად წაუყენეს.

ერთადერთი მტკიცებულება ისევ პოლიციელების მონაყოლი აღმოჩნდა.

მოწმე ნინო კ. ჩვენებიდან:

„მე მეგონა, პოლიციელებს იმიტომ შეჰყავდათ დაკავებული პიროვნება შენობაში, რომ მისთვის ეცემათ. მე შევეცადე კართან მისვლას, თუმცა იქ არ შემიშვეს სხვა პოლიციის თანამშრომლებმა და ამის გამო დავრეკე 112-ში, სადაც განვაცხადე, რომ პოლიციას ახალგაზრდა ჰყავდა დაკავებული და სცემდნენ“.

საგარეჯოელი პოლიციელების მიერ დაკავებული ახალგაზრდა ადგილობრივი ცეკვის ანსამბლ „სინათლის“ 18 წლის სოლისტი გიორგი ახვერდაშვილი იყო, რომელიც 7 იანვარს, ქალაქის ცენტრში მიმდინარე კონცერტზე, მეგობართან, ბექა ჯავახიშვილთან ერთად იმყოფებოდა.

საქმის მასალების გაცნობის მიუხედავად, იმის დადგენა, თუ როგორ ჩამოიყვანეს სცენაზე ასული ბიჭები პოლიციელებმა, შეუძლებელია, რადგან ამ საკითხთან დაკავშირებით ერთ-ერთი სამართალდამცავის განმარტება სასაცილოდ წინააღმდეგობრივია:

„პოლიციელებმა ბექა ესაიაშვილმა და გიორგი ღვალაძემ აღნიშნული 2 ახალგაზრდა ბიჭი სცენიდან ჩამოიყვანეს მშვიდად და წყნარად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, ვგულისხმობ მათ სცენიდან ჩამოთრევას“.

გამოძიების ვერსიით, სცენიდან ძალდატანების გარეშე ჩამოთრეულ ბიჭებს პოლიციელების კანონიერი მოთხოვნა არ მოეწონათ და მათ ჯერ სიტყვიერად, მოგვიანებით კი ფიზიკურად დაუპირისპირდნენ, რის გამოც პოლიციელები იძულებული გახდნენ, მათ წინააღმდეგ პროპორციული ძალა გამოეყენებინათ და ახალგაზრდები დაეკავებინათ.

პოლიციელებსა და ახალგაზრდებს შორის დაპირისპირების დაწყების სხვა ვერსია აქვს დაცვის მხარეს. ადვოკატი საგარეჯოელ პოლიციელებს კონფლიქტის პროვოცირებაში ღიად ადანაშაულებს.

საგარეჯოელი პოლიციელების გადამეტებული აგრესიულობა რომ, შესაძლოა, მართლაც მათი სიმთვრალით იყო განპირობებული, ადასტურებს მოწმე, რომელიც პოლიციელების სამიზნე იმ დღეს თავადაც იყო.

ახალგაზრდა კაცმა ეკრანზე ღიად გამოჩენისგან თავი შიშის გამო შეიკავა, ამბობს, რომ ახსოვს ყველა სიტყვა და მუქარა, რომლებიც საგარეჯოს პოლიციის უფროსის კაბინეტში მოისმინა.

ბექასთვის, რომელიც მისი პირობითი სახელია, პოლიციის მხრიდან ომის გამოცხადების მიზეზი ამ შემთხვევაშიც საშობაო კონცერტის სცენაზე ასვლა გახდა. მან ადგილობრივი მთავრობა არათანმიმდევრულობის გამო ღიად გააკრიტიკა და თქვა, რომ როცა პატარა ქალაქში ტრაგიკულად დაღუპულ კაპრალს სამხედრო პატივით კრძალავენ, მეორე დღეს ტაშ-ფანდური არ უნდა იმართებოდეს.

ეს გამოსვლა ბექას ხულიგნობად ჩაუთვალეს და სცენიდან პირდაპირ პოლიციის განყოფილებაში უკრეს თავი.

ბექას დაკავებიდან მალევე პოლიციის განყოფილებაში გიორგი ახვერდაშვილი და ბექა ჯავახიშვილიც აიყვანეს.

ვიდრე სამართალდამცავები ბიჭებთან მუშაობდნენ, ბექა ერთი მეთვალყურის ამარა იყო დარჩენილი. მან დრო იხელთა და პოლიციის შენობიდან თავის დაღწევა ცადა.

ბექაზე არანაკლები დაზიანებები ჰქონდათ იმ ბიჭებს, რომლებსაც საგარეჯოელი პოლიციელები გვერდით ოთახში „ამუშავებდნენ“. არადა, თუ მათი დაკავების ოქმებს ვენდობით, ახალგაზრდებმა ფიზიკური ზიანი პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის პროცესში მიიღეს.

მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდების განეიტრალების და დაკავების ოპერაცია ქალაქის ცენტრში ხდებოდა და მასში ათზე მეტი პოლიციელი მონაწილეობდა, საქმეში არც გარე სათვალთვალო და არც პოლიციელების სამხრე კამერების ჩანაწერები მოიპოვება.

ეს სისხლის სამართლის საქმე ზერელედ და ნაჩქარევად არის ნაწარმოები, რაზეც მასში ბიოლოგიური და დაქტილოსკოპიური ექსპერტიზების დასკვნების არარსებობაც მეტყველებს.

სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, თუ ჯგუფურად არის ჩადენილი, ოთხიდან შვიდ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

ბექა ბასილაია: „7 ნოემბრის დარბევაში სააკაშვილის ჩართულობა გამოგონილია“

– დღეს გამოკვლეულ არც ვიდეო და არც წერილობით მტკიცებულებებში არც ერთი ფორმით მიხეილ სააკაშვილის რაიმე დანაშაულზე საუბარი არ არის და ვერც იქნება, იმიტომ, რომ ამ საქმეზე მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ არანაირი მტკიცებულება არ არსებობს. ეს არის პოლიტიკურად მოტივირებული დევნა.

ამის შესახებ მიხეილ სააკაშვილის ადვოკატმა ბექა ბასილაიამ 7 ნოემბრის საქმესთან დაკავშირებით განაცხადა.

საუბარია მტკიცებულებებზე, რომლებიც გუშინდელ, 24 იანვრის, სასამართლო პროცესზე პროკურატურამ წარმოადგინა 2007 წლის 7 ნოემბრის აქციის დარბევასთან დაკავშირებით.

– რაც შეეხება საკითხს, რა ვიდეოები იქნა გამოკვლეული, ეს არის პოლიტიკური საკითხები, როცა თანამდებობის პირები ერთმანეთს ხვდებიან და ამ შეხვედრებს ესწრებოდა ბადრი პატარკაციშვილი, ჩვენ გვესმოდა, რომ იქ რაიმე კრიმინალური, რაიმე კანონს მიღმა და მსგავსი საუბარი არ ყოფილა. ეს იყო ბადრი პატარკაციშვილთან არსებული საუბრები, ეს ჩანაწერები წარმოადგინა პროკურატურამ, ვიდრე პროკურატურა წარმოადგენდა, ეს ჩანაწერები ინტერნეტწყაროებში გავრცელებულია და იქ არავითარი დანაშაული არ იკვეთება, – განაცხადა ბექა ბასილაიამ.

მისივე განმარტებით, რაც შეეხება თავად აქციის დარბევის საკითხს, წარმოდგენილი იყო მძიმე კადრები, თუმცა ეს იყო კონკრეტული პოლიციური ღონისძიების ფარგლებში არსებული გადაცდომები.

– მთავარი რა არის – არც ერთი ეს პოლიციელი, არც ერთი ის ადამიანი, თანამდებობის პირები იქნებოდნენ ეს თუ რიგითი თანამშრომლები, ვინც ჩვენ კადრებში ვიხილეთ, საქმეზე დაკითხული არ არის, შესაბამისად, საუბარი იმაზე, რომ მიხეილ სააკაშვილს რაიმე ფორმით რაიმე ჩართულობა ჰქონდა ამ პროცესებში, არის თავიდან ბოლომდე გამოგონილი, იმიტომ, რომ ამ საქმის ფარგლებში ის მძიმე კადრები, რაც ვიხილეთ საპოლიციო ღონისძიების ფარგლებში, პროკურატურას შეფასებული არ აქვს არც ერთ კონკრეტულ მოქმედ პირთან დაკავშირებით, – განაცხადა ბასილაიამ.

გუშინ, 24 იანვარს, თბილისის საქალაქო სასამართლოში 7 ნოემბრის საქმეზე საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, ბრალდებულ მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესი გაიმართა. მას მიხეილ სააკაშვილი არ ესწრებოდა.

გურჯაანში მამაკაცს თანასოფლელი შემოაკვდა

უბედური შემთხვევა მოხდა გურჯაანის მუნიციპალიტეტში.

სოფელ კოლაგის ტყეში მამაკაცმა შემთხვევით გასროლილი ტყვიით 70 წლის თანასოფლელი სასიკვდილოდ დაჭრა.

ადგილობრივების ინფორმაციით, თანასოფლელები ტყეში სანადაროდ იმყოფებოდნენ და შემთხვევაც სწორედ ამ დროს მოხდა.

კაცი ადგილზე გარდაიცვალა.

მომხდარს გურჯაანის პოლიცია იძიებს.

ავარია გურჯაანში — დაიღუპა 1 ადამიანი, რამდენიმე დაშავდა

მსხვერპლით დასრულდა ავტოსაგზაო შემთხვევა გურჯაანში – გარდაცვლილია ერთი ადამიანი, ორი მძიმედაა დაშავებული.

შემთხვევა 23 იანვარს გურჯაანის ცენტრალურ მაგისტრალზე, კურორტ ახტალის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა. ერთმანეთს მსუბუქი ავტომობილები შეეჯახნენ, რის შედეგადაც რამდენიმე პირი მძიმედ დაშავდა. ისინი სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადამ გურჯაანის ჯეო ჰოსპიტალსის კლინიკაში გადაიყვანა. ექიმების განმარტებით, ერთი უკვე გარდაცვლილი იყო, ორი კი მძიმე მდგომარეობაში მყოფი პირია. ერთ-ერთი დაშავებულის მდგომარეობა კრიტიკულია.

მომხდარ ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეექვსე ნაწილით დაიწყო.

წითელ ხიდსა და ბათუმის აეროპორტში არადეკლარირებული საქონელი აღმოაჩინეს

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა არადეკლარირებული საქონლის შემოტანის მცდელობის ფაქტები აღკვეთეს.

ამის შესახებ ინფორმაციას შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

საქართველოს საბაჟო კოდექსის 168-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეებს, სანქციის სახით, ფულადი ჯარიმა, ჯამში, 7.185 ლარის ოდენობით შეეფარდათ.

„კერძოდ, საბაჟო გამშვებ პუნქტში „წითელი ხიდი“, მებაჟე ოფიცრების მიერ, ეჭვის საფუძველზე, აზერბაიჯანის მხრიდან შემოსული სატვირთო მანქანის (რომელსაც საქართველოს მოქალაქე რ.ბ. მართავდა) დეტალური დათვალიერების შედეგად, აღმოჩენილი იქნა 3.498 ღირებულების არადეკლარირებული საქონელი.

სამართალდარღვევის კიდევ ერთი ფაქტი საბაჟო გამშვებ პუნქტ „ბათუმის აეროპორტში“ აღიკვეთა. უკრაინის მოქალაქის ა.პ.-ს კუთვნილ კომერციული დანიშნულების, არადეკლარირებულ 3.687 ლარის ღირებულების საქონელს, კანონმდებლობის შესაბამისად, წითელი დერეფანი განესაზღვრა“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

თბილისში კაცი მოულოდნელად წაიქცა და გარდაიცვალა

თბილისში, მეტროსადგურ „300 არაგველთან“, კაცი მოულოდნელად წაიქცა და გარდაიცვალა. შემთხვევა გუშინ, 24 იანვარს, მოხდა.

გარდაცვალების მიზეზი უცნობია.

ადგილზე პოლიცია და სასწრაფო დახმარების ბრიგადა იყვნენ მობილიზებული.

მელიქიშვილზე აფთიაქს ხანძარი გაუჩნდა

გუშინ, 24 იანვარს, თბილისში, მელიქიშვილის გამზირზე, ფილარმონიასთან მდებარე ჯიპიესის აფთიაქში ხანძარი გაჩნდა.

ცეცხლი შენობის სახურავს გაუჩნდა.

როგორც ფორმულას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში უთხრეს, ხანძრის ლიკვიდაცია დროულად მოხერხდა და შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

ბორელი: „ევროკავშირი უკრაინიდან დიპლომატების გაყვანას არ გეგმავს“

ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო საკითხებისა და უსაფრთხოების პოლიტიკაში ჯოზეფ ბორელი აცხადებს, რომ ევროკავშირი, აშშ-ისგან განსხვავებით, ამ ეტაპზე უკრაინიდან დიპლომატების ოჯახების გაყვანას არ გეგმავს.

კითხვაზე, რას ნიშნავს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის გადაწყვეტილება უკრაინიდან დიპლომატების ოჯახების გაყვანის შესახებ და ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ომი ახლოსაა, ჯოზეფ ბორელმა უპასუხა, რომ ამ განცხადების მიზეზს სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი ახსნის.

– სახელმწიფო მდივანი აგვიხსნის ამ განცხადების მიზეზებს. ჩვენ არ ვაპირებთ იმავეს გაკეთებას, რადგან კონკრეტული მიზეზები არ ვიცით, მაგრამ სახელმწიფო მდივანი მოგვაწვდის ინფორმაციას, – განაცხადა ბორელმა.

მისი თქმით, ამჟამად რუსეთთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს და სიტუაციის დრამატიზება საჭირო არ არის.

– არ ვფიქრობ, რომ დრამატიზება უნდა მოვახდინოთ, რამდენადაც მოლაპარაკებები მიმდინარეობს, – აღნიშნა ბორელმა და დასძინა, რომ, შესაძლოა, ამ საკითხთან დაკავშირებით ენტონი ბლინკენს მეტი ინფორმაცია ჰქონდეს.

– შესაძლოა, სახელმწიფო მდივან ენტონი ბლინკენს მეტი ინფორმაცია აქვს და, თუ ასეა, გაგვაცნობს, – აღნიშნა ჯოზეფ ბორელმა.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა რეგიონში მზარდი საფრთხის გამო უკრაინაში აშშ-ის საელჩოს თანამშრომლების ოჯახის წევრებისთვის ქვეყნის დატოვების განკარგულება გასცა.

უკრაინამ აშშ-ის სამხედრო დახმარების ახალი პარტია მიიღო

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უკრაინას სამხედრო დახმარების ახალი პარტია გაუგზავნა. ამის შესახებ უკრაინის თავდაცვის მინისტრი ოლექსი რეზნიკოვი ტვიტერში წერს. მისი ინფორმაციით, კიევში ამერიკულმა თვითმფრინავმა 80 ტონაზე მეტი იარაღი ჩაიტანა.

„80 ტონაზე მეტი იარაღი უკრაინის თავდაცვითი შესაძლებლობების გასაძლიერებლად ჩვენი ამერიკელი მეგობრებისგან! და ეს არ არის დასასრული“, – წერს უკრაინის თავდაცვის უწყების ხელმძღვანელი.

შეგახსენებთ, შაბათს უკრაინამ აშშ-ის მიერ დეკემბერში დამტკიცებული 200 მილიონი დოლარის ღირებულების სამხედრო დახმარების პაკეტის პირველი პარტია, 90 ტონამდე ტვირთი, მიიღო.

სომხეთის პრეზიდენტი სარქისიანი გადადგა

სომხეთის პრეზიდენტმა არმენ სარქისიანმა თანამდებობა დატოვა.

პრეზიდენტის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში ის გადადგომის მიზეზებს განმარტავს. მისი თქმით, ეს გადაწყვეტილება სრულიად არაემოციურია და გარკვეული ლოგიკიდან მოდის.

„გვაქვს პარადოქსული სიტუაცია, როდესაც პრეზიდენტი იძულებულია, იყოს სახელმწიფოებრიობის

გარანტი, ფაქტობრივად, რეალური ინსტრუმენტების გარეშე. კონსტიტუცია ასევე გულისხმობს ერთი დაწესებულების უპირატესობას მეორეზე, უქმნის დაბრკოლებებს დისპორის სპეციალისტებს, მონაწილეობა მიიღონ ისტორიული სამშობლოს სახელმწიფო ინსტიტუტების მართვაში და ა.შ. ჩვენ ვართ საპარლამენტო რესპუბლიკა ფორმით, მაგრამ არა – შინაარსით. ჩვენ ვცხოვრობთ თავისებურ რეალობაში – რეალობაში, რომელშიც პრეზიდენტი ვერ ახდენს გავლენას ომსა და მშვიდობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რეალობაში, როდესაც ის ვერ იყენებს ვეტოს იმ კანონებზე, რომლებსაც სახელმწიფოსა და ხალხისთვის შეუფერებლად მიიჩნევს. ეს არის რეალობა, რომელშიც პრეზიდენტი ვერ გამოიყენებს თავისი პოტენციალის უპირატეს ნაწილს სისტემური საშინაო და საგარეო პოლიტიკური პრობლემების მოგვარებისთვის.

ეს არის რეალობა, რომელშიც მსოფლიო მუდმივი ტურბულენტობის ზონაშია, მაგრამ პრეზიდენტს არ გააჩნია კონსტიტუციური ინსტრუმენტები, რომ დაეხმაროს თავის ქვეყანას“, – წერია განცხადებაში.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ევრო 2023: უეფამ გადაწყვიტა – ფოთს ქუთაისი ჩაანაცვლებს

2023 წელს უეფას 21-წლამდე ნაკრებთა ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი მასპინძელი საქართველოა. ჩემპიონატი 2023 წლის ზაფხულში ორ ქვეყანაში – საქართველოსა და რუმინეთში გაიმართება.

ჩემპიონატში მონაწილე 16 ევროპული ნაკრები 4 ჯგუფში გადანაწილდება. თითოეულ ქვეყანაში 2-2 ჯგუფის მატჩები ჩატარდება. ახალგაზრდულ ნაკრებთა ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპი საქართველოს 3 ქალაქში, 4 სტადიონზე ჩატარდება: ბათუმში, ქუთაისსა და თბილისში (ბორის პაიჭაძის სახელობის დინამო არენა და მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი).

ევრო 2023-ის ფინალური მატჩი ბათუმში შედგება, ხოლო გახსნით მატჩს რუმინეთი უმასპინძლებს.

თავდაპირველად ჩემპიონატის ერთ-ერთ მასპინძელ ქალაქად ფოთი განიხილებოდა. თუმცა უეფას საორგანიზაციო ჯგუფის ექსპერტების რეკომენდაციით, რომელიც მათ საქართველოში ვიზიტის ფარგლებში, არსებული ინფრასტრუქტურის გაცნობის შედეგად შეიმუშავეს, ჯგუფური ეტაპის მატჩები ფოთის ნაცვლად ქუთაისში გაიმართება.

ტურნირის მზადების შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ისაუბრა და აღნიშნა, რომ შეიქმნა დროებითი სამთავრობო კომისია, რომელიც სპეციალურად ევრო 2023-სთვის იმუშავებს.

ირაკლი ღარიბაშვილი:

– ფინალური მატჩი ბათუმის ახალ სტადიონზე გაიმართება, რომელიც საქართველოს მთავრობის დაფინანსებით აშენდა. აღნიშნული ჩემპიონატი 2023 წელს ძალიან დიდი მოვლენა იქნება. საქართველოში ფეხბურთის არაერთი ვარსკვლავი ჩამოვა და ფეხბურთის ქართველ გულშემატკივარს მათი ხილვის შესაძლებლობა მიეცემა. თეა წულუკიანთან ერთად შეხვედრა ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელთან, ლევან კობიაშვილთან მქონდა. ამ საკითხზე ვისაუბრეთ და ვთქვით, რომ საჭირო დროებითი სამთავრობო კომისიის შექმნაა. დროებითი სამთავრობო კომისია სწორედ დღეს შეიქმნება. აღნიშნული კომისია ორგანიზებას ამ ჩემპიონატის წარმატებით ჩატარებას გაუწევს და მასთან დაკავშირებით ყველა საკითხს მოაგვარებს.

შეგახსენებთ, რომ უეფა-ს 21 წლამდე ნაკრებთა ევროპის ჩემპიონატის გამართვის უფლება საქართველომ, 2020 წლის 3 დეკემბერს, უეფას აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით მოიპოვა. 2023 წელს ევროპის საუკეთესო ახალგაზრდებს საქართველო და რუმინეთი უმასპინძლებს.

ჩემპიონატის დებულების თანახმად, ორივე მასპინძელი ქვეყანა ფინალურ ეტაპზე საკვალიფიკაციო ეტაპის გავლის გარეშე ითამაშებს.

შერმადინმა მატჩის შემდეგ იჩხუბა

მილუოკი ბაქსის ქართველმა კალათბურთელმა სანდრო მამუკელაშვილმა ნბა-ს განვითარების ლიგაში, ვისკონსინ ჰერდის რიგებში მორიგი შეხვედრა გამართა.

სანდრო სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და პარკეტზე 30 წუთი გაატარა. სანდროსთვის ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა, რათა ორმაგი დუბლი გაეფორმებინა და აქტივში 11 ქულა, 10 მოხსნა, 2 შედეგიანი გადაცემა, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება ჩაიწერა.

მამუკელაშვილმა 11-დან 5 ბურთი ჩააგდო და 3-დან 1 სამქულიანი გამოიყენა. პასივში კი 3 დაკარგვა და 2 პერსონალური ფოლი ჰქონდა.

ქართველის გუნდმა 117:107 იმარჯვა.

გეტყვით იმასაც, რომ ამ მატჩის შემდეგ ნვორა და მამუკელაშვილი მილუოკი ბაქსში დაბრუნდნენ.

გიორგი შერმადინის ტენერიფემ ესპანეთის ჩემპიონატში მარცხი განიცადა. კუნძულელები სტუმრად თად მაკფადენის მურსიას შეხვდნენ და შეხვედრა დაძაბულ ბრძოლაში – 86:88 დათმეს.

საქართველოს ნაკრების ცენტრმა ამ შეხვედრაში 30 წუთი ითამაშა და ორმაგი დუბლის გაფორმება მოახერხა. გიორგის ანგარიშზე 10 ქულა, 11 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარებაა. ჩვენებურმა 11-დან 4 ორქულიანი და 2-დან 2 ერთქულიანი ჩააგდო, 2-ჯერ დაკარგა ბურთი და 4 პერსონალური ფოლი მიიღო.

საქართველოს ნაკრების ნატურალიზებულმა მაკფადენმა კი ტენერიფესთან 21 წუთი ითამაშა და შერმადინს 1 ქულით აჯობა – 11 ქულა დააგროვა, გარდა ამისა, ამ დროში 1 მოხსნის, 2 პასისა და 1 ჩაჭრის დაგროვება მოასწრო. მაკფადენმა 3-დან 1 ორქულიანი და 8-დან 3 სამქულიანი გამოიყენა, 2-ჯერ დაჯარიმდა და 4-ჯერ ბურთი დაკარგა.

მატჩის შემდეგ მოედანზე მცირე კონფლიქტი წარმოიქმნა, რომელშიც ქართველი ცენტრიც მონაწილეობდა. შერმადინი ურთიერთობის გარკვევას მასპინძელთა ბრაზილიელ ცენტრ აუგუსტო ლიმასთან შეეცადა და ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. მათი გაშველება თანაგუნდელებმა მოახერხეს.

ამ ფაქტთან დაკავშირებით მატჩის შემდეგ კომენტარი ტენერიფელთა მთავარმა მწვრთნელმა ჩუს ვიდორეტამ გააკეთა:

– ბოდიშს ვიხდი მატჩის ბოლოს მომხდარი ინციდენტის გამო, რადგანაც ამით მურსიელთა საზეიმო განწყობა მცირედით გავაუფერულეთ. ვფიქრობ, შერმადინი არასწორად მოიქცა, როდესაც თამაშის მერე ლიმას ახსნა-განმარტებები მოსთხოვა. გიო შეცდა და ამის გამო ვწუხვართ.

ამ მოგების შემდეგ მურსია მე-4 ადგილზე გადაინაცვლა და სამეფო თასზე თამაშის უფლება მოიპოვა, ტენერიფემ კი ლიგა ენდესაში ზედიზედ მე-4 შეხვედრა წააგო და მე-9 ადგილზე იმყოფება.

ბექა ბურჯანაძის ბეტისმა სევილიაში ბილბაოს უმასპინძლა და 71:88 წააგო. ანდალუსიელებმა პირველი ტაიმი 10 ქულით მოიგეს, მაგრამ მე-3 პერიოდი ბეტისმა საშინლად ჩაატარა, 14:33 დათმო და შემდეგ სიტუაცია ვეღარ გამოასწორა.

ბურჯანაძემ პარკეტზე 6 წუთი გაატარა, რომლის დროსაც 2 ქულა, 1 მოხსნა და 1 პასი დააგროვა. ქართველმა ლეგიონერმა 1 ორქულიანი ჩააგდო და 1 სამქულიანი ააცილა.

ბეტისს ცუდი სეზონი აქვს, 3 გამარჯვებითა და 13 წაგებით ბოლო, მე-18 ადგილზეა, მომდევნო ტურში კი ბრეოგანს უმასპინძლებს.

ქორქია-საკანდელიძის მემორიალის ფინალში ქუთაისი და მეგა ითამაშებენ

ქუთაისი-ბათუმი 93:63
(23:21, 26:17, 22:13, 22:12)

ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალის ფინალში შარშანდელი გამარჯვებული ქუთაისი გავიდა. იმერულმა კლუბმა ნახევარფინალში დამაჯერებლად – 93:63 დაამარცხა ბათუმი და ქართველი ოლიმპიური ჩემპიონების სახელობის ტიტულის დაცვას მშობლიურ არენაზე შეეცდება.

ქუთაისელებს მხოლოდ პირველ პერიოდში გაუჭირდათ. მართალია, საწყისი პერიოდიც მოიგეს, მაგრამ ბათუმი სოლიდურ წინააღმდეგობას უწევდა და პირველი მეოთხედის შემდეგ სხვაობა მხოლოდ 2 ქულა იყო. მეორე პერიოდიდან კი იმერულმა კლუბმა თამაშზე სრული კონტროლი დაამყარა, სადავეებს დაეპატრონა და უპირატესობა ანგარიშშიც ასახა. ათწუთიანი ქუთაისელებმა 26:17 მოიგეს და დიდ შესვენებაზე 11-ქულიანი ლიდერობით გავიდნენ.

ბათუმელებს სურდათ, თამაშში გარდატეხა შეეტანათ, მაგრამ ქუთაისელთა გონივრული თამაშის გამო ეს ვერ შეძლეს. რაც დრო გადიოდა, იმერული გუნდი უპირატესობას ზრდიდა და, საბოლოოდ, კოტე ტუღუშის გუნდმა 30 ქულის სხვაობით იმარჯვა.

ქუთაისელთაგან საუკეთესო შედეგი აკაკი დვალიშვილმა დაფიქსირა – 17 ქულა, 13 მოხსნა. ბომბარდირი სტივენ ფლეჯერი გახდა 18 ქულით. 10 ქულა და 14 მოხსნა გიორგი კორსანტიამ მოაგროვა. ბათუმელთაგან 20 ქულით საუკეთესო იყო ბექა ბექაური. 15 ქულა რევაზ ჩაჩანიძის ანგარიშზეა.

მეგა-ვეჩა 106:99
(28:30, 18:27, 24:22, 36:20)

შარშანდელი ფინალი არ შედგა. 2021 წლის მემორიალის ფინალში ქუთაისმა ვერა დაამარცხა. ამჯერად ვერას მეგა ჩაანაცვლებს.

სუპერლიგის დებიუტანტი მეგა, რომელიც შარშან ა ლიგაში თამაშობდა, ფინალში გავიდა. ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გაწვრთნილი გუნდი ისტორიაში პირველი ტიტულის მოსაგებად ითამაშებს.

რაც შეეხება ნახევარფინალურ მატჩს, ძალიან დაძაბული გამოდგა, რომლის ბედიც ბოლო წუთებზე გადაწყდა. ორივე გუნდი დანაკლისით თამაშობდა. ვერას სასტარტო ხუთეულის 2 კალათბურთელი აკლდა – ვახტანგ ქადარია და თაჩ უნრუჰი. ამის მიუხედა-

გაგრძელება მე-7 გვერდზე

მამაკაცმა შვილობილის გადარჩენა საკუთარი სიცოცხლის ფასად ცადა

ამერიკის ილინოისის შტატის ქალაქ ჩარლსტონში მამაკაცი შეეცადა, საკუთარი სიცოცხლის ფასად გადაერჩინა ათი წლის შვილობილი გოგონა, რომელიც გუბურაში ყინულების ქვეშ აღმოჩნდა. დილით მალაია უაიტი ძაღლებთან ერთად ყინულზე შევარდა, დაეცა და გაყინულ წყალში აღმოჩნდა. ამის დანახვაზე მისმა დამ ბეილიმ სახლში შეირბინა, რათა დასახმარებლად მამობილისა და დედობილის, ბილ კროისა და კარლოს სერაფინისთვის ეხმო.

კანონის ძალით ბავშვზე მზრუნველობადაკისრებული სერაფინი შეეცადა, გოგონა გადაერჩინა, მაგრამ დაიღუპა.

– კარლოსი გუბურაში იატაკის საწმენდი ჯოხის ტარით გადახტა, მაგრამ გოგონა უკვე ყინულების ქვეშ იყო მოყოლილი და მალე ისიც იქვე აღმოჩნდა, – განაცხადა გოგონას დეიდა ამანდა ბილსმა. კროიმ, რომელიც სერაფინთან ქორწინებაში იმყოფებოდა, ყინული ჩაამტვრია, მაგრამ ვერც მეუღლისა და ვერც მალაიას პოვნა და ამოყვანა ვერ მოახერხა.

შემთხვევის ადგილზე მისულმა მაშველებმა ყინულებში ჩაცვენილი ადამიანები ამოიყვანეს. გოგონას რეანიმირება მოხერხდა და ის კრიტიკულ მდგომარეობაში საავადმყოფოში იქნა მოთავსებული, სერაფინი კი, სამწუხაროდ, ვეღარ გადაარჩინეს.

მაშველებმა გუბურიდან სამი ძაღლიც ამოიყვანეს, რომელთაგან ერთი მოგვიანებით დაიღუპა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე მისვლით. კეთდება მხოლოდ იტალიური და იაპონური მოსახსნელი კბილის პროთეზები. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

შედეგები

23 იანვარი

ფეხბურთი

აფრიკის ერთა თასი

ბურკინა ფასო-გაბონი 1:1 (7:6პ)
ნიგერია-ტუნისი 0:1

ინგლისი. პრემიერლიგა

არსენალი-ბარნლი 0:0
კრ.პალასი-ლივერპული 1:3
ლესტერი-ბრაიტონი 1:1
ჩელსი-ტოტენჰემი 2:0

სატუნირო ცხრილი:

1.სიტი	23	18	3	2	55-14	57
2.ლივერპული	22	14	6	2	58-19	48
3.ჩელსი	24	13	8	3	48-18	47
4.მანჩესტერი	22	11	5	6	36-30	38
5.ვესტ ჰემი	23	11	4	8	41-31	37
6.არსენალი	21	11	3	7	33-25	36
7.ტოტენჰემი	20	11	3	6	26-24	36
8.ვულვზი	21	10	4	7	19-16	34
9.ბრაიტონი	22	6	12	4	23-23	30
10.ლესტერი	20	7	5	8	34-37	26
11.ასტონ ვილა	21	8	2	11	28-32	26
12.საუთჰემპტონი	22	5	10	7	26-34	25
13.კრ.პალასი	22	5	9	8	31-34	24
14.ბრენტფორდი	23	6	5	12	26-38	23
15.ლიდსი	21	5	7	9	24-40	22
16.ევერტონი	20	5	4	11	24-35	19
17.ნორვიჩი	22	4	4	14	13-45	16
18.ნიუკასლი	21	2	9	10	21-43	15
19.უოტფორდი	20	4	2	14	23-40	14
20.ბარნლი	18	1	9	8	16-27	12

გერმანია. ბუნდესლიგა

ლაიფციგი-ვოლფსბურგი 2:0
ჰერტა-ბაიერნი 1:4

სატუნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	20	16	1	3	65-19	49
2.დორტმუნდი	20	14	1	5	52-31	43
3.ლევერკუზენი	20	10	5	5	49-32	35
4.უნიონი	20	9	7	4	29-25	34
5.ფრაიბურგი	20	9	6	5	33-23	33
6.ლაიფციგი	20	9	4	7	38-23	31
7.ჰოფენჰაიმი	20	9	4	7	41-32	31
8.კიოლნი	20	7	8	5	32-34	29
9.აინტრახტი	20	7	7	6	30-30	28
10.მაინცი	20	8	3	9	28-23	27
11.ბოხუმი	20	7	3	10	19-29	24
12.გლადბახი	20	6	4	10	26-37	22
13.ჰერტა	20	6	4	10	22-42	22
14.არმინია	20	4	9	7	20-26	21
15.ვოლფსბურგი	20	6	3	11	17-32	21
16.აუგსბურგი	20	4	7	9	20-35	19
17.შტუტგარტი	20	4	6	10	22-35	18
18.ფიურტი	20	2	4	14	17-52	10

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ჰანოვერი-დინამო 0:0
რეგენსბურგი-კილი 1:2

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

გრანადა-ოსასუნა 0:2
რეალი-ელჩე 2:2
რაიო-ბილბაო 0:1
სოსიედადი-ხეტაფე 0:0
ალავესი-ბარსელონა 0:1

სატუნირო ცხრილი:

1.რეალი	22	15	5	2	46-19	50
2.სევილია	22	13	7	2	34-16	46
3.ბეტისი	22	12	4	6	41-25	40
4.ატლეტიკო	21	10	6	5	36-26	36
5.ბარსელონა	21	9	8	4	32-23	35
6.სოსიედადი	21	9	7	5	22-21	34
7.ვილიარეალი	22	8	8	6	36-23	32
8.რაიო	21	9	4	8	27-22	31
9.ბილბაო	22	7	10	5	21-17	31
10.ვალენსია	22	7	8	7	35-36	29
11.ოსასუნა	22	7	7	8	22-27	28
12.სელტა	22	7	6	9	26-25	27
13.ესპანიოლი	22	7	6	9	26-30	27
14.გრანადა	22	5	9	8	26-33	24
15.ელჩე	22	5	8	9	23-30	23
16.ხეტაფე	22	5	7	10	17-23	22
17.მალიორკა	21	4	8	9	17-33	20
18.კადისი	22	3	9	10	19-36	18
19.ალავესი	22	4	5	13	16-35	17
20.ლევანტე	21	1	8	12	21-43	11

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ბურგოსი-ლეგანესი 4:0
ხიხონი-ამორებიეტა 2:1
ხირონა-ლუგო 1:1
უესკა-პონფერადინა 1:2
ალკორკონი-მირანდესი 0:0

იტალია. სერია ა

კალიარი-ფიორენტინა 1:1
ნაპოლი-სალერნიტანა 4:1
სპეცია-სამპდორია 1:0
ტორინო-სასუოლო 1:1
ემპოლი-რომა 2:4
მილანი-იუვენტუსი 0:0

სატუნირო ცხრილი:

1.ინტერი	22	16	5	1	53-17	53
2.ნაპოლი	23	15	4	4	43-16	49
3.მილანი	23	15	4	4	47-25	49
4.ატალანტა	22	12	7	3	44-26	43
5.იუვენტუსი	23	12	6	5	34-21	42
6.რომა	23	12	2	9	40-30	38
7.ლაციო	23	10	6	7	46-39	36
8.ფიორენტინა	22	11	3	8	41-30	36
9.ვერონა	23	9	6	8	43-38	33
10.ტორინო	22	9	5	8	30-21	32
11.ემპოლი	23	8	5	10	37-47	29
12.სასუოლო	23	7	8	8	39-38	29
13.ბოლონია	22	8	3	11	29-37	27
14.სპეცია	23	7	4	12	24-42	25
15.უდინეზე	21	4	9	8	28-36	21
16.სამპდორია	23	5	5	13	29-41	20
17.ვენეცია	22	4	6	12	20-40	18
18.კალიარი	23	3	8	12	22-44	17
19.ჯენოა	23	1	10	12	20-45	13
20.სალერნიტანა	21	3	2	16	14-50	11

იტალია. სერია ბ

ვიჩენცა-ჩიტადელა 3:3
ლეჩე-კრემონეზე 2:1

საფრანგეთი. ლიგა 1

მეცი-ნიცა 0:2
ანჟე-ტრუა 2:1
ბორდო-სტრასბური 4:3
კლერმონი-რენი 2:1
ნანტი-ლორიანი 4:2
მონპელიე-მონაკო 3:2
პსჟ-რეიმსი 4:0

სატუნირო ცხრილი:

1.პსჟ	22	16	5	1	46-18	53
2.ნიცა	22	13	4	5	36-18	42
3.მარსელი	21	11	7	3	30-16	40
4.სტრასბური	22	10	5	7	44-28	35
5.რენი	22	10	4	8	41-21	34
6.მონპელიე	22	10	4	8	37-30	34
7.მონაკო	22	9	6	7	35-26	33
8.ლანსი	22	9	6	7	36-31	33
9.ნანტი	22	9	5	8	30-27	32
10.ლილი	22	8	8	6	30-30	32
11.ლიონი	21	8	8	5	29-27	31
12.ანჟე	21	7	8	6	28-28	29
13.ბრესტი	22	7	7	8	28-33	28
14.რეიმსი	22	5	9	8	22-27	24
15.კლერმონი	22	5	7	10	22-35	22
16.ტრუა	22	5	5	12	20-31	20
17.ბორდო	22	4	8	10	34-53	20
18.მეცი	22	4	7	11	24-43	19
19.ლორიანი	22	3	8	11	18-38	17
20.სტ.ეტიენი	21	2	6	13	18-43	12

ნიდერლანდები. ეროვნული დივიზიონი

ნაიმეგენი-ფეინოორდი 1:4
პსვ-აიაქსი 1:2
ერაკლესი-იგლსი 1:1
სპარტა-უტრეხტი 0:3
ვალვაიკი-სიტარდი 2:1

პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

გიმარაეში-ეშტორილი 3:1
მარიტიმუ-ბელენენსეში 1:1
ჟილ ვისენტე-პორტიმონენსე 1:0
პორტუ-ფამილიკაო 3:1

ბელგია. ა დივიზიონი

სტანდარდი-ბრიუგე 2:2
სენ ჟილუა-გენკი 2:1
მეხელენი-ანდერლეხტი 0:1
სერკლი-ვარეგემი 3:1

თურქეთი. სუპერლიგა

ქაშიმფაშა-ქაისერი 3:1
ჰატაი-რიზე 0:0
ალთაი-ქონია 0:1
ანთალია-გაზიანთები 0:0
გირესუნი-ალანია 1:3
გალათასარაი-ტრაბზონი 1:2

საბერძნეთი. სუპერლიგა

არისი-ლამია 0:0
ატრომიტოსი-აეკი 0:2
ვოლოსი-პაოკი 0:4
ოლიმპიაკოსი-იანინა 2:0

ჩოგბურთი

ავსტრალიის ღია პრიზეული

კაცები

ჩილიჩი-ოჟე ალიასიმი 6:2,6:7,2:6,6:7
კრესი-მედვედევი 2:6,6:7,7:6,5:7
დე მინორი-სინერი 6:7,3:6, 4:6

ქალები

კოლინზი-მერტენსი 4:6,6:4, 6:4
ჰალეპი-კორნე 4:6,6:3, 4:6
შვიატეკი-კირსტეა 5:7,6:3, 6:3

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო განცხადებები

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს დამსახურებული ქალბატონის

დალილა ბოჯგუას

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს თანამშრომელს, თინათინ მხეიძეს, მის ოჯახსა და ახლობელ-ნათესავებს.

გიორგი საჩალელის გახსენება



გარდაიცვალა საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტისა და სატრანსპორტო მშენებლობის ღვაწლმოსილი მუშაკი, ღირსების ორდენის კავალერი, საპატიო რკინიგზელი, საქართველოს რკინიგზის ყოფილი საგზაო სამშენებლო ტრესტის მთავარი ინჟინერი გიორგი საჩალელი.

იგი დაიბადა 1940 წლის 18 აგვისტოს ქ. თბილისში. 1958 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის 114-ე საშუალო სკოლა, 1964 წელს – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის სპეციალობით. შრომითი საქმიანობა დაიწყო სკოლის დამთავრებისთანავე. მუშაობდა დედაქალაქის რიგ ორგანიზაციებში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1966 წლიდან 1984 წლამდე მუშაობდა ტრესტ „კავტრანსმშენში“ და გაიარა სახელოვანი შრომითი გზა სამუშაოთა მწარმოებლის თანამდებობიდან სამმართველოს უფროსამდე.

1984 წლის მარტიდან გ.საჩალელი სამუშაოდ გადაჰყავთ ამიერკავკასიის რკინიგზაზე საგზაო სამშენებლო ტრესტის მმართველის მოადგილედ, ხოლო 1984 წლის აგვისტოდან პენსიაზე გასვლამდე იგი მუშაობდა მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე. ყველგან, სადაც კი იმუშავა გიორგი საჩალელმა, თავი გამოიჩინა, როგორც ენერგიულმა, შრომისმოყვარე და მაღალკვალიფიციურმა სპეციალისტმა. ადამიანებთან ურთიერთობაში იყო უაღრესად გულისხმიერი და ყურადღებიანი.

წავიდა ჩვენგან ღირსეული პიროვნება, ჭეშმარიტი მამულიშვილი, საუკეთესო კოლეგა, დიდებული ოჯახის უფროსი და დაგვიტოვა დიდი სევდა. მისი ხსოვნა მარადიული იქნება მეგობრებისა და კოლეგების გულებში.

საქართველოს რკინიგზის შრომის რკინიგზელ ვეტერანთა ასოციაციის გამგეობა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ქორქია-საკანდელიძის მემორიალის ფინალში ქუთაისი და მეგა ითამაშებენ

დასაწყისი მე-6 გვერდზე

ვად, დავით გასიტაშვილის გაწვრთნილი ვერელები დამაჯერებლად გამოიყურებოდნენ.

თამაშის უმეტეს დროს ვერა იყო წინ. ბოლო პერიოდის წინ გასიტაშვილის გუნდი 79:70 ლიდერობდა, თუმცა მეგამ ბოლო ათწუთეულში დიდებულად ითამაშა. დასრულებამდე 2 წუთით ადრე ვერელები 5 ქულით დაწინაურდნენ, თუმცა დარელ ბრაუნმა და ზაკ სელიასმა გათანაბრება მოახერხეს – 96:96. ბოლო წუთზე კი მეგას ლეგიონერებმა იყოჩაღეს. ჯიმონ ჰენსონმა სამქულიანი ჩააგდო, რის შემდეგაც დემონტე ფლანიგანმა ვერელებს ჩაუჭრა და ორქულიანი გარღვევით თავისიანებს გამარჯვება დაუბევა.

საუკეთესო 29 ქულითა და 5 პასით ჰენსონი გახდა. ფლანიგანის ანგარიშზე 22 ქულა, 7 მოხსნა და 5 პასი დაგროვდა. შედეგიანობით გამოირჩა ოთარ ბულიავა – 16 ქულა, 12 მოხსნა, 7 პასი. აღსანიშნავია ახალგაზრდა გიორგი კობახიძის კარგი თამაში, რომელმაც 5 სამქულიანი ჩააგდო და თავისიანების გამარჯვებაში სოლიდური წილი დაიდო. „ვერაში“ 35 ქულითა და 11 მოხსნით ზაკ სელიასი გამოირჩა, 30 ქულა დარელ ბრაუნის ანგარიშზეა.

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

მადლიერ პაციენთა რიცხვი ათასობითაა:

ლია თეთრაშვილი: მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

დათო ჭელიძე: წლების განმავლობაში ვიტანჯებოდი ბუასილით. ყველას ვურჩევ, მიაკითხოს ლამარა თოდუას, ნამდვილად სასწაულს ახდენს მისი მალამო.

ჟანა ამირანაშვილი: ბავშვს საბავშო ბაღში გადაედო ტილები, შემდეგ მთელს ოჯახს გადაგვდო. ლამარა თოდუას მიერ დამზადებული ნაყენით ერთ პროცედურის შემდეგ სრულიად გავთავისუფლდით.

ლილი კიზირია: 83 წლის დედას წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იჟოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. შინაური ფრინველი; 2. სახელმწიფო აღმოსავლეთ ევროპაში; 3. ქალაქი აშშ-ში, სადაც განთავსებულია კოსმოსური კვლევის ნაციონალური ცენტრი; 4. მთვარიანი ღამე; 5. შინაური კურდღელი; 8. კონიაკის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 9. უდიდესი ბუნებრივი ნაკრძალი აშშ-ში; 12. უეფას პრეზიდენტი; 13. კურორტ ახალი ათონის ძველი სახელწოდება; 16. ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილება სასამართლოში; 17. ბრიტანული მსუბუქი ავტომობილი; 19. ისტორიული ციხე-სიმაგრე მესხეთში; 20. ბალერინის სპეციალური ფეხსაცმელი.

თარაზულად: 6. ძველი, იშვიათი ნივთების შემფასებელი, მოვაჭრე; 7. რძის შაქარი; 8. რაიონული ცენტრი სვანეთში; 10. ძრავა, რომელიც აირის, წყლის ენერგიას მექანიკურ ენერგიად გარდაქმნის; 11. სათამაშოების მწარმოებელი დანიური ფირმა; 14. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 15. თაღლითი, მატყუარა, ყალთაბანდი ადამიანი; 18. რაიმე დარგის, მეცნიერების ზოგადი, განყენებული საფუძვლები; 21. ბრილიანტის თითოეული გვერდი; 22. საქართველოს ზღვისპირეთში გავრცელებული ტროპიკული მცენარე, რომლისგანაც იღებენ მაღალხარისხოვან ტექნიკურ ზეთს; 23. ისრაელის სახელმწიფო ენა; 24. ზღვისპირა კურორტი აჭარაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. კოპოლა; 2. თუნი; 3. ჩატურანგა; 4. ფლეში; 5. გონდოლა; 8. დუქანი; 9. მიხაილოვო; 12. ჰენესი; 14. ლაღიძე; 16. ალილო.

თარაზულად: 1. კართოტეკა; 6. ვატერლოო; 7. პრუდონი; 9. მედუზა; 10. ფინო; 11. კარწახი; 13. ტოლმა; 15. დევიზა; 17. ბაირაღი; 18. ველენი; 19. ტანძია; 20. ჯოკონდა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ნიორაძე; 2. ხინკალი; 3. რისლინგი; 4. ჟუდეცი; 5. სუარესი; 8. მემფისი; 9. პარალიზი; 12. ნოკდაუნი; 13. ერლიფტი; 16. ჟოეკვარა; 17. კანკანი; 19. სმალტა; 20. ბაწარა.

თარაზულად: 6. ჰინდიკუში; 7. სულგუნი; 8. მელაძე; 10. პაიჭაძე; 11. გემა; 14. გორდონსი; 15. ოკულისტი; 18. კოზაკი; 21. მატიანე; 22. რანდი; 23. აუდიტი; 24. ზამინდარი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

25 იანვარი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0763

ევრო — 3.4808

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.1515

100 რუსული რუბლი — 3.9149

ამინდის პროგნოზი 25 იანვრისათვის



ხავი: „ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ“

ბარსელონის მთავარმა მწვრთნელმა ხავი ერნანდესმა ალავესთან გამარჯვებაზე ისაუბრა და თქვა, რომ მისი გუნდისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი მოგება იყო, რადგან მათ სჭირდებოდათ სამი ქულა.

მიუხედავად ამისა, ხავიმ თქვა, რომ ის თამაშის ხარისხით ბოლომდე კმაყოფილი არ არის:

– ნამდვილად შეგვეძლო, უკეთესად გვეთამაშა, მაგრამ ამჟამად მთავარი შედეგია და ეს გამარჯვება ჩვენთვის ბევრს ნიშნავს.

ალავესს ბარსელონამ 1:0 მოუგო.

აზარმა ელჩესთან მატჩზე ისაუბრა

მადრიდის რეალის ბელგიელმა ნახევარმცველმა ედენ აზარმა ელჩესთან მოედანზე 90 წუთი გაატარა და მისთვის ტრავმის შემდეგ ეს პირველი სრულად ჩატარებული მატჩი იყო. აზარის აზრით, ის მალე ოპტიმალურ ფორმაში ჩადგება:

– სამწუხაროა, რომ ვერ მოვიგეთ, თუმცა რთულ მდგომარეობაში ვიყავით და ასეთ დროს ფრეც არ არის ცუდი. იმედი მაქვს, მოედანზე უფრო ხშირად გამოვალ ხოლმე.

როი კინმა მანჩესტერ იუნაიტედი გააკრიტიკა

მანჩესტერ იუნაიტედის ლეგენდა როი კინმა მანჩესტერ იუნაიტედი გააკრიტიკა და თქვა, რომ ამ გუნდს სტაბილურობა აკლია და ამიტომ ვერ აღწევს გუნდი შედეგს:

– ვთვლი, რომ მანჩესტერს უფრო მეტი შეუძლია და ამ გუნდს აქვს პოტენციალი, მაგრამ, ცუდი ის არის, რომ გუნდი სტაბილური არ არის. ეს კომპონენტი იუნაიტედმა აუცილებლად უნდა გამოასწოროს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში წარმატების მიღწევა რთული იქნება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

საქმროს მიერ ქორწილის წინ მიტოვებული ქალი ხანჯალს გაჰყვა ცოლად

კუნძულ ბალიზე ქალი მას შემდეგ გათხოვდა ხანჯალზე, როდესაც ქორწილამდე ორი დღით ადრე ის საქმრომ მიატოვა. ფეხმძიმე 22 წლის ნი პუტუ მელინას შეყვარებულთან 12 იანვარს უნდა ექორწინა. თუმცა მამაკაცმა ქორწილის წინ მასზე დაქორწინება გადაიფიქრა, ვინაიდან ოჯახმა საცოლესთან გადასვლის უფლება არ მისცა. მიუხედავად აკრძალვისა, მამაკაცი მელინას სიყვარულში გამოუტყდა და შესთავაზა გაპარულიყვნენ. ქალის ნათესავებმა ეს იდეა არ მოიწონეს და მის რჩეულს ნაჩქარევი ნაბიჯების გადადგმისგან თავის შეკავებისა და სიმბოლური საქორწინო ცერემონიის გამართვისკენ მოუწოდეს, მაგრამ მან ამაზე უარი თქვა. არშემდგარი ქორწილის გამო დამცირების თავიდან ასაცილებლად, პატარძალი ასიმეტრიული ფორმის დამახასიათებელი პირის მქონე ხანჯალ კრისს გაჰყვა ცოლად, რომელიც მამაკაცის ძალის სიმბოლოს წარმოადგენს. თუმცა ოფიციალურად ასეთი ქორწინების რეგისტრირება არ ხდება და ამიტომ მელინა მარტოხელა დედა გახდება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

25 იანვრისათვის

ვერძი – ოჯახში პატარა გაუგებრობა შეგექმნებათ. იყავით კეთილგონიერი და მომთმენი. **კურო** – პროვოკაციული დღეა. კომპრომისზე წასვლა დაუშვებელია. ერიდეთ კამათს ოჯახის წევრებთან. **გემინები** – მწვავდება ქრონიკული დაავადებები. ილუზიებს არ აჰყვეთ. იყავით რეალისტი. **კირჩხიბი** – ერთი შეხედვით, კეთილისმყოფელი დღეა, თუმცა, არ არის გამორიცხული, მცირედი სანერვიულო შეგხვდეთ. საქმეს მთელი სერიოზულობით მოეკიდეთ. **ლომი** – გეგმები შეიმუშავეთ და მათ რეალიზებას თამამად შეუდექით. ვარსკვლავები გმფარველობენ. **ქალწული** – სამოგზაუროდ, მივლინებაში წასვლა სასურველი არ არის. კარგი იქნება, თუ ამ დღეს სახლში გაატარებთ. **სასწორი** – ნაყოფიერი დღეა. მიზანს ადვილად მიაღწევთ. შრომა დაგიფასდებათ. **ღრიანაული** – თავს კარგად გრძნობთ. მიენდეთ განსაკუთრებით გამახვილებულ ინტუიციას. **მშვილდოსანი** – საქმეში წინსვლა გელით. რომანტიკული ურთიერთობისაგან თავი შეიკავეთ. **თხის რქა** – აქტიურობა ნაყოფიერ შედეგს გამოიღებს. შემოქმედებითი დღეა. **მერწყული** – კეთილისმყოფელი დღეა სურვილების ასრულების კუთხით. მოსალოდნელია სასიამოვნო ცვლილებები პირად ცხოვრებაში. **თევზები** – ყოველგვარი ურთიერთობა ნორმალიზდება. საკუთარ ავტორიტეტს გაუფრთხილდით.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ლეიტენანტს ღამის ქეიფის შემდეგ დაეძინა და დილით სამსახურში დააგვიანდა. ამ დროს ტელეფონი რეკავს და ქალის ნაზი ხმა ეუბნება:

– ბატონო ლეიტენანტო, სექსი ტელეფონით გსურთ?

– რა თქმა უნდა, მინდა!

– მაშინ ნაწილის უფროსთან შეგაერთებთ.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– შეგიძლია მითხრა რაიმე სისაძაგლე, შიშის მომგვრელი, დაუნდობელი, ყოველგვარ აზრს და ლოგიკას მოკლებული?

– ქალთა კოლექტივი.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– უალკოჰოლო ცხოვრების სამდღიან მარათონს შევუერთდი.

– მართლა? და როდის იყო ეგ დღეები?

– 29, 30 და 31 თებერვალს.

●●●

ქალმა და მამაკაცმა ერთმანეთი გაიცნეს. მამაკაცი ეკითხება:

– რა პროფესიის ხართ?

– მასწავლებელი. და თქვენ?

– ექიმი.

– გინეკოლოგი?

– არა... მაგრამ შემიძლია ვნახო.

●●●

რძალი დედამთილს ურეკავს და ეკითხება:

– მე და ჩემი ქმარი ვკამათობთ, ბავშვმა თუ ჩაისვარა, ვინ უნდა დაბანოს?

– რა თქმა უნდა, დედამ!

– ჰოდა, თქვენი შვილი სახლში მთვრალი მოვიდა, ჩაისვარა, მოდით და დაბანეთ!

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეკითხება:

– ლელა, როგორ ამოიყვანე დიდი ცხიმის ლაქა შენი დივანიდან?

– გავეყარე.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საბურთალოზე სკვერს თემურ წიკლაურის სახელი ეწოდა

ანსამბლ „ივერიის“ მომღერლის თემურ წიკლაურის 76-ე დაბადების დღეზე მისი შემოქმედების გულშემატკივრებისთვის სასიამოვნო სიახლე გახდა ცნობილი.

თბილისში, საბურთალოზე, მიცკევიჩის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ უსახელო სკვერს თემურ წიკლაურის სახელი ოფიციალურად ეწოდა.

ლეგენდარული მომღერალი კორონავირუსმა გასულ წელს იმსხვერპლა.

რუსკა მაყაშვილი საავტორო გადაცემას წაიყვანს

რუსთაველის თეატრის მსახიობი რუსკა მაყაშვილი ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ზე საავტორო გადაცემას წაიყვანს.

„ურუსკესი“ – ასე ჰქვია გადაცემას, რომელიც ეთერში სულ მალე გავა.

– მოემზადეთ! ეს გახდება თქვენი საყვარელი გადაცემა! – ამბობენ შოუს შემქმნელები.

სალომე ჭაჭუა ირლანდიური „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მომდევნო ტურშია

ქართველი მოცეკვავე სალომე ჭაჭუა და მისი მეწყვილე ჯორდან ქონროი ირლანდიური „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მომდევნო ტურში გადავიდნენ.

სალომემ და ჯორდანმა მეორე საკონკურსო ტურში ქვიქსტეპი შეასრულეს და ჟიურისა და მაყურებლის დიდი მოწონებაც დაიმსახურეს.

„ახალმა თეატრმა“ სპექტაკლები გააუქმა



ვასო აბაშიძის სახელობის ახალმა თეატრმა დაგეგმილი სპექტაკლები გააუქმა:

– თქვენთვის და ჩვენთვის სამწუხარო ინფორმაცია გვაქვს. მიუხედავად უზარმაზარი ძალისხმევისა, ყველა რეგულაციისა და იზოლაციის წესების დაცვისა, მაინც მოგვერია პანდემია. დარჩენილი სპექტაკლები უნდა შევაჩეროთ. დაგიბრუნდებით თებერვლიდან.

მათ, ვისაც გაქვთ შეძენილი ბილეთები 25, 26, 27, 28, 29, 30 იანვრის „მუსიკის ჰანგებზე“, შეგიძლიათ, შეინახოთ ეს ბილეთები და სპექტაკლების აღდგენისთანავე ისარგებლოთ იმავე თანმიმდევრობით, ხოლო ვისაც გსურთ დაბრუნება, მისწერეთ თიკეთ.ჯი-ს და თანხა დაგიბრუნდებათ თქვენს საბანკო ანგარიშზე.

ყველას ჯანმრთელობას გისურვებთ. იმედია, მალე შევხვდებით თეატრში.



ირმა გურიელს სესილია თაყაიშვილის სახელობის პრემია მიენიჭა

მსახიობ ირმა გურიელს სესილია თაყაიშვილის სახელობის პრემია მიენიჭა.

საქართველოს ტელევიზიის უხუცესი წამყვანი, საბედნიეროდ, ჯილდოებითა და პრემიებით ნამდვილად განებივრებულია.

80 წლის იუბილეზე მას მწერალთა კავშირმა ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემია და მედალი გადასცა, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა კი მთაწმინდაზე, სატელევიზიო ანძის წინ სახელობითი ვარსკვლავი გაუხსნა.

დათო ჩხარტიშვილი გორის თეატრის ხელმძღვანელად აღარ აირჩიეს

რეჟისორი დათო ჩხარტიშვილი გიორგი ერისთავის სახელობის გორის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად აღარ აირჩიეს.

დათო ჩხარტიშვილი:

– ერისთავის თეატრი ცვლილებებშიც პირველია. რას ვიზამთ, ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც ჩვენ გვინდოდა. მადლობა ამ 4 წლისთვის ერისთავის თეატრს, მადლობა მსახიობებს, მადლობა ტექნიკურ პერსონალს, მადლობა ადმინისტრაციის თანამშრომლებს, მადლობა მაყურებელს, მადლობა იმ ადამიანებს, ვინც გვეხმარებოდა განვითარებაში და ყოველთვის გვერდით გვედგა, მადლობა ამ ქალაქს, რომელმაც ასე შემაყვარა თავი, მადლობა იმ ადამიანებს, ვინც წვლილი შეიტანა ჩემს გორში ყოფნაში და მადლობა იმ ადამიანებს, ვინც წვლილს შეიტანს ჩემს მომავალშიც, მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვისთანაც ამ პერიოდში მომიწია მუშაობა, მადლობა! ჩვენ ერთად ბევრი კარგი რამე გავაკეთეთ. გუდ ჯობ!

პ.ს. 4 წელიწადში 15 ჯილდო სხვადასხვა კონკურსებზე და ფესტივალებზე, 30%-ით გაზრდილი შემოსავლები, ბევრი დადებითი რეცენზია, ბევრი გაკეთებული ინფრასტრუქტურული სამუშაო, ბევრგან აღიარებული წარმატება, ბევრი ტაში და ბევრი სიყვარული. გორის თეატრი იყო ერთ-ერთი წარმატებული თეატრი და, დარწმუნებული ვარ, ასეც გაგრძელდება. ბოდიში იმ ადამიანებს, ვისაც გული დაგწყვიტეთ ამ პოსტით. ამ სფეროში ვრჩები და კიდევ ხშირად შევხვდებით...

ვამაყობ თითოეული წუთით, რაც თქვენთან ერთად გავატარე. მიყვარხართ.

პ.პ.ს. ეს არის ჩემი კომენტარიც, ბრიფინგიც და სხვა დანარჩენიც... ახლა კი ფარდა!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. მოთელილი მატყლისგან დამზადებული თბილი მოსასხამი; 2. დამხმარე თეორემა მათემატიკაში; 3. გერბების შემსწავლელი დისციპლინა; 4. ყოველდღიური გაზეთი იაპონიაში; 5. ცხვრის ხორცისგან მომზადებული წვნიანი კერძი; 8. საჩუქრად მირთმეული რამე; 9. კაფე-ბარი საცეკვაო მოედნით; 12. იაპონური იეროგლიფების სახელწოდება; 14. ჟორჟ ბიზეს ოპერა; 16. საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტი.

თარაზულად: 1. ქართული მინერალური წყალი; 6. ისტორიული სასტუმრო ნიცაში; 7. ზიარებისთვის განკუთვნილი ოქროს ან ვერცხლის სასმისი ეკლესიაში; 9. ტყავის დამზადების ოსტატი; 10. ტბა გაგრის მახლობლად: 11. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 13. მუსიკალური წამყვანი დისკოთეკაზე; 15. მწვავე ირონია, დაცინვა; 17. ნიუ იორკის ერთ-ერთი რაიონი; 18. შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრული სტილი დასავლეთ ევროპაში; 19. ქრისტიანთა „საღმრთო წიგნი“; 20. მდგომარეობა კრივში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა